სპორტული

სპორტული გაზეთი სამშაბათი 3 ოქტომბერი 2006 №228 (2850) ფასი 50 თეთრი



7 0

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან, რომელიც ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ჯერ არ ყოფილა

დღეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გერმანული შეკრება ეწყება და გუშინ როსტოკში ნაკრების ხუთი ფეხბურთელი ჩავიდა — „ზესტაფონის“ მეკარე გრიგოლ ჭანტურია, თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი, ნალჩიკის „სპარტაკის“ შუახაზელი გოგიტა გოგუა და იაროსლავლის „შინიკის“ მცველი და ნახევარმცველი — ალეკო ამისულაშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი.

ქართველ ფეხბურთელებს როსტოკში ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე რალფ მინგე დახვდა და ისინი სასტუმრო „ჰიუბნერში“ დააბინავა. კლაუს ტოპმიოლერი კი როსტოკში გუშინ გვიან ღამით ჩავიდა.

მინგემ გუშინ ჩვენი ნაკრების ზემოხსენებული ხუთეული თამაშზე დაპატიჟა — გუშინ როსტოკში მეორებუნდესლიგური მატჩი იყო — „ჰანზა“ „დუისბურგს“ მასპინძლობდა და შეგახსენებთ, რომ 7 ოქტომბერს ბუნდესნაკრებთან მატჩამდე საქართველოს ნაკრები 5 ოქტომბერს სწორედ „ჰანზას“ გაეჯიბრება.

გერმანულ შეკრებაზე საქართველოს ლამის განახევრებული ნაკრები პირველ ვარჯიშს დღეს საღამოს გამართავს.

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ტოპმიოლერმა უნახავი ნახა

ძალიან შეფიქრიანებული გვეჩვენა გუშინ საქართველოს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი, ვისაც როსტოკში შევეხმიანეთ და ეს არც გაგვკვირვებია. ჩვენი ლამის განახევრებული ეროვნული გუნდი დღეიდან იწყებს გერმანულ შეკრებას და ტოპისთანაც სალაპარაკოს რა გამოგვილევდა...



— რას იტყვით საქართველოს ნაკრების სადღეისო მდგომარეობაზე?

— რა თქმა უნდა, ძალიან რთული სიტუაციაა. საფრანგეთთან თამაშის შემდეგ რომ ვისაუბრეთ, მაშინ იმედიანად გითხარით, რომ გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ ოპტიმალური შემადგენლობით ვითამაშებდით, დღეს კი... სამწუხაროდ, იმედები გამიცრუვდა და პირობაც ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დავარღვიე.

— ასეთ რთულ სიტუაციაში როდესმე ყოფილხართ?

— ერთი ან ორი ფეხბურთელი გამომკლებია, მაგრამ ასეთი კრიტიკული სიტუაცია ჯერ არ მქონია.

— ტრავმების და დისკვალიფიკაციების გამო სათამაშო სქემას ხომ არ შეცვლით?

— ეს ჯერ არ გადამიწყვეტია, შეკრებას ხვალიდან ვიწყებთ, ვარჯიშზე დავაკვირდები ბიჭებს და მათი შესაძლებლობების მიხედვით გადავწყვეტ, ისევ 4-3-3 სქემით ვითამაშოთ თუ რაღაც შევცვალოთ.

— არის შანსი, დავით მუჯირმა და შოთა არველაძემ იტალიასთან ითამაშონ...

— რამის დაზუსტებით თქმა ჯერ არ შემიძლია, მათი ტრავმები საკმაოდ სერიოზულია, ალბათ ოთხშაბათისთვის მექნება საბოლოო პასუხი. იმედს ვიტოვებ, რომ კვირის ბოლოსთვის გამოჯანმრთელდებიან და დაგვეხმარებიან.

— ყველაზე საგრძნობი დანაკლისი ნახევარდაცვაშია...

— ჯერ მიჭირს იმაზე ლაპარაკი, ვინ რომელ პოზიციაზე ითამაშებს. ტაქტიკური სქემა ალბათ შესაცვლელია. დისკვალიფიკაციები ვათვალისწინებული გვქონდა, მაგრამ ამდენ ტრავმირებულს ნამდვილად არ ველოდით.

— ბევრს ეგონა, რომ ნახევარდაცვაში ამდენი დანაკლისის გამო დავით სირაძეს და ლადო ბურდულს გამოიძახებდით...

— გადავწყვიტეთ, ახალი არავინ გამოგვეძახა. ამ ეტაპზე სჯობს, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ფეხბურთელებს დავეყრდნოთ.

— მეკარესთან დაკავშირებით რა გადაწყვიტეთ?

— მატჩის განაცხადში გიორგი ლომაია და ნუკრი რევიშვილი იქნებიან, მაგრამ ჯერ დაზუსტებით არ ვიცი, ვინ დაიცავს ნაკრების კარს. ვარჯიშზე კიდევ ერთხელ დავაკვირდები მათ შესაძლებლობებსა და მონდომებას და ამის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

— გერმანიაში რას ამბობენ საქართველოსთან თამაშის წინ?

— გერმანელები ჩვენ მიმართ კარგად არიან განწყობილი და საკადრის პატივს ცემენ საქართველოს ნაკრებს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანიის საუკეთესო თერთმეტეული კიდევ ერთხელ ეცდება თავისი გულშემატკივრების გახარებასა და თავის გამოჩენას.

— როსტოკის „ჰანზასთან“ მეორე შემადგენლობას დააყენებთ?

— გააჩნია, ვინ შეძლებს თამაშს. სიმართლე გითხრათ, იმდენი ფეხბურთელი გვაკლია, რომ დღეს პირველი და მეორე ნაკრები, ფაქტობრივად, არ არსებობს.

— გერმანიასთან თამაშს მხოლოდ იტალიისთვის მოსამზადებლად გამოიყენებთ თუ შედეგსაც დიდ ყურადღებას მიაქცევთ?

— გერმანიასთან მატჩს ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მათთან კარგი თამაშით მთელ მსოფლიოს ვაჩვენებთ, რომ ჩვენც დიდი ძალა ვართ, ბიჭებს კი სტიმული და საკუთარი თავის რწმენა შეემატებათ. ასე რომ, ეს არა მხოლოდ სამზადისია დიდი მატჩისთვის, ეს თავის გამოჩენის შანსიცაა.

— გერმანიის ნაკრების მწვრთნელ იოახიმ ლიოვთან ხომ არ გისაუბრიათ?

— იოახიმ ლიოვს ფიფას მწვრთნელთა სიმპოზიუმზე შევხვდი და გეტყვით, რომ იგი ძალიან კარგი აზრისაა ჩვენს გუნდზე და არცთუ იოლად დასამარცხებელ მეტოქედ მიგვიჩნევს.

ნინო სილაგაძე

ლიოვს საქართველო დასასვენებლად და მოსამზადებლად უნდა

გერმანიის ეროვნული ნაკრების თავკაცმა იოახიმ ლიოვმა განაცხადა, რომ 7 ოქტომბერს საქართველოსთან ამხანაგურ მატჩში რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს დაასვენებს.

„იმ ფეხბურთელებს, რომელთაც ბოლო დროს ბევრი მატჩის ჩატარება მოუწიათ, ინდივიდუალურ პროგრამას დავუნიშნავთ და საიმისოდაც ექნებათ დრო, რომ ბოლომდე გამოჯანმრთელდნენ. მაგალითად, ასეთები არიან ფილიპ ლამი, ტორსტენ ფრინგსი და მიროსლავ კლოზე — თქვა ლიოვმა და იქვე დაამატა — ისინი საქართველოსთან მთელ 90 წუთს არ ითამაშებენ“.

ლიოვმა გერმანულ მედიასთან იმაზეც ისაუბრა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს 7 ოქტომბრის მატჩს: „საქართველოსთან მატჩი გვაძლევს შანსს, დავასვენოთ ფეხბურთელები და ამავე დროს გამოვცადოთ რამდენიმე ახალი მოთამაშე. ჩვენთვის მნიშვნელოვანი 11 ოქტომბრის ევროშესარჩევი მატჩია ბრატისლავაში და ამ შეხვედრისთვის ასი პროცენტით მზად უნდა ვიყოთ, რაშიც საქართველოსთან თამაში დაგვეხმარება“.

შეგახსენებთ, რომ 7 ოქტომბრის მატჩისთვის ლიოვმა სამ დებიუტანტს უხმო — „ალემანიის“ შემტევ იან შლაუდრაფს, „ვერდერის“ განაპირა მცველ კლემენს ფრიცს და „ჰამბურგის“ შუახაზელ პიოტრ ტროხოვსკის.

დავით თავგართქილაძე

ინგლისი

პრემიერლიგა. VII ტური

უოტფორდი 3:3 ფულემი

გერმანია

II ბუნდესლიგა. VI ტური

ჰანზა 1:0 დუისბურგი

იტალია

სერია B. V ტური

ტრიესტინა 0:0 მანტოვა

სერია C1/A. V ტური

პისტოიეზე 1:1 გროსეტო

საფრანგეთი

II დივიზიონი. X ტური

ამიენი 1:0 ბასტია

პორტუგალია

სუპერლიგა. V ტური

სპორტინგი 2:0 ლეირია

სეტუბალი 1:1 ფერეირა

ბრაგა 2:1 პორტუ

თურქეთი

სუპერლიგა. VIII ტური

ანკარაგიუჯიუ 2:2 ტრაბზონი

რუსეთი

პრემიერლიგა. XXII ტური

ტორპედო 2:1 ლუჩ-ენერგია

რუბინი 2:4 ლოკომოტივი

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. IX ტური

სლავია 0:0 სპარტა

ლიბერეცი 4:1 კლადნო

ნორვეგია

ტიპელიგა. XXII ტური

ბრანი 1:0 ოდ გრენლანდი

შვედეთი

ალსვენსკა. XXI ტური

იორგრიტე 0:0 აიკ

ელფსბორგი 0:0 იოსტერსი

ჰამარბი 2:2 მალმიო

სუპერეტა. XXVII ტური

ლანდსკრონა 2:1 უმეა

უკრაინა

უმაღლესი ლიგა

IX ტური

ჩერნომორეცი 2:0 ვორსკლა

მეტალურგი (ზ) 2:1 ილიჩევეცი

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. VIII ტური

შოპრონი 1:2 ზალაეგერსეგი

საახალწლო კენჭები

საქართველოს ევროკუნძულები და აზია ერგო

გუშინ ნიონში: უეფას ფუტსალის კომიტეტის თავმჯდომარე პეტრ ფუზეკი და ეროვნულ ნაკრებთა შეჯიბრების ხელმძღვანელი მიკაელ ზალცერი

გუშინ უეფამ ფუტსალში ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა მოაწყო.

შესარჩევ ეტაპზე სარეკორდოდ ბევრი, 36 ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას და მათ შორის საქართველოც.

ჩვენი ფუტსალის ნაკრები მესამე ჯგუფში მოხვდა კვიპროსთან, ყაზახეთთან და მალტასთან ერთად. შესარჩევი ტურნირი 2007 წლის 15-21 იანვარს გაიმართება და მას მალტა უმასპინძლებს.

მეტოქეთაგან ქართველებს არც ერთზე ნაკლები რეიტინგი არა აქვთ და წესით, ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

შეგახსენებთ, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოს ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს საფრანგეთთან.

კახა შალამბერიძე

ალბათ ფეხბურთი არ უნდა მეთამაშა

კახა კალაძის ერთით მეტი რევოლუცია და რესტორაცია

„სარბიელმა“ ცოტა ხნის წინ შემოგთავაზათ საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძესთან ინტერვიუ ახლა კი კალაძეს „გაძეტა დელო სპორტი“ ესაუბრა. იტალიელმა ჟურნალისტმა „მილანის“ ქართველ ლეგიონერს შეხვედრა მილანის ცენტრში, პრესტიჟულ რესტორან „ბიფინოში“ დაუთქვა და პირველად „ჩელსიზე“ ჰკითხა...

— კახა, შარშან „მილანის“ დატოვებას და ინგლისურ „ჩელსიში“ გადასვლას აპირებდით, თუმც ბოლო მომენტში გადაიფიქრეთ. მაინც რა მოხდა?

— მოხდა ის, რომ გუნდში ჩემი ადგილი ვიპოვე და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. რაც შეეხება „ჩელსის“, ჩემდა საბედნიეროდ, კლუბებმა ვერ მოილაპარაკეს.

— თქვენდა საბედნიეროდ? ეს როგორ გავიგოთ?

— ვაღიარებ, „მილანიდან“ წასვლა მართლაც მსურდა, რადგან არ მათამაშებდნენ. მაგრამ ერთ-ერთი მატჩისას პაოლო მალდინი დაშავდა და ანჩელოტიმაც დაცვის ცენტრში დამავალა თამაში. მეც მივიღე პასუხი, თანაც ამ ექსპერიმენტმა გაამართლა — ეს ხომ ჩემი საყვარელი პოზიცია გახლავთ. დროდადრო ჩემი კლუბისადმი დამოკიდებულება სასიკეთოდ შეიცვალა და მეც ცოტა ხნის წინ „მილანთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გავახანგრძლივე. მოკლედ, ახლა ძალიან ბედნიერი ვარ.

— სამაგიეროდ, რაც არ გააკეთეთ თქვენ, გააკეთა ანდრეი შევჩენკომ...

— ვიდრე ანდრეი გადაწყვეტილებას მიიღებდა, ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ მე მისთვის კონკრეტულად არაფერი მითქვამს. შევჩენკომ პირადად გადაწყვიტა ასე და, რაც უნდა იყოს, მის არჩევანს პატივი უნდა ვცეთ.

— და მაინც, შევჩენკოს ახლა „ჩელსის“ მაისურა აცვია...

— გულახდილად გეტყვით — ის ჩვენ ძალიან გვაკლია. ვიცი და დარწმუნებულიც ვარ, რომ შევასაც ენატრება „მილანი“ და აქაურობა. გული მტკივა, ანდრეის ლონდონური კარიერა რომ არ აეწყო, მის თამაშებს რომ ვუყურებთ, ჩანს, რომ იგი „ჩელსიში“ ვერ ჩაჯდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

— „მილანში“ უკვე მეშვიდე სეზონს ატარებთ და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ასე ვთქვათ, ძველი მილანელი ხართ...

— ასეა და მინდა, ყოველთვის მილანელი ვიყო. მე ქალაქის ცენტრში ვცხოვრობ, მომწონს აქაური ატმოსფერო და ხალხის გულთბილი დამოკიდებულება. მოკლედ, ამ ქალაქში თუ მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ.

— რისი დასტურიც ალბათ რესტორანი „ჯანინოა“, რომლის თანამფლობელიც ხართ. „ჯანინო“ ყველას მოსწონს, საკმაოდ პრესტიჟული რესტორანია ჩინებული ატმოსფეროთი...

— დიახ, ჩავდე ფული და არც ვნანობ. აქ ხშირად მოვდივარ და ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. თამაშის შემდეგ თითქმის ყველანი აქ მოვდივართ და არა მარტო ფეხბურთელები — სილვიო ბერლუსკონი საპატიო სტუმრებს ახლა აქ ეპატიჟება, ადრიანო გალიანიც თითქმის სულ აქაა. ერთი სიტყვით, აქაურობა ყველას ძალიან მოსწონს და მეც კმაყოფილი ვარ.

— მარტო ნამდვილად არ ხართ, მაგრამ პირად ცხოვრებაში... დაოჯახებას ჯერაც არ აპირებთ?

— შეყვარებული არ მყავს. როგორც ჩანს, ჩემთვის სიყვარულის დრო ჯერ არ მოსულა.

— ერთი სიტყვით, „მილანი“ თქვენი სახლია...

— ასეა. ძალიან მინდა, წლეულს სკუდეტო ან ჩემპიონთა ლიგა მოვიგო. ვფიქრობ, ამის ძალა შეგვწევს. შევჩენკო არ გვყავს, მაგრამ მერწმუნეთ, მაინც ძლიერი გუნდი ვართ. არჩევანზე თუ მიდგება საქმე, უფრო სკუდეტოს მოგება გვინდა: როცა სეზონს მინუს რვა ქულით დაგაწყებინებენ და ჩემპიონატს მაინც მოიგებ, ამას სხვა მუხტი და ელფერი აქვს.

— კალჩოპოლის სკანდალსაც ბუნებრივად მივადექით. ამაზე რას იტყვით?

— რა უნდა ვთქვა. რაც იტალიაში ჩამოვედი, მუდმივად ერთი რამ მესმოდა, მსაჯები „იუვეს“ ეხმარებიან, მსაჯები „იუვეს“ ეხმარებიან. როგორც დასრულდა ყველაფერი, კარგად იცით. „იუვეს“ და კიდევ სხვების გარდა, ჩვენც დაგვსაჯეს. ასე რომ, როგორც ქართველმა, კიდევ ერთი რევოლუცია გადავიტანე.

— რევოლუცია კი თქვენთვის უცხო ნამდვილად არაა...

— 1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა იმპერია დაინგრა, საქართველოში ხალხს ძალიან უჭირდა, ახლა კი ვითარება საბედნიეროდ, კარდინალურად შეიცვალა. ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩემი დიდი ხნის მეგობარია და ის საქართველოსთვის ძალიან ბევრს აკეთებს. სულ მალე ნატოშიც შევალთ და ეს ფაქტი ჩემს ქვეყანას მნიშვნელოვნად წაადგება. სამწუხარო ჩემთვის მხოლოდ ისაა, რომ ამ ყოველივეს ჩემი ძმა ლევანი ვერ მოესწრო.

— თქვენი ძმის ამბავმა კი ყველა დაზაფრა...

— მაშინ კიევის „დინამოდან“ „მილანში“ ახალი გადასული ვიყავი 18 მილიონ დოლარად. იმ დროს საქართველოში ხალხი ლამის შიმშილობდა და ბოროტმოქმედებმაც ეს საშინელება მოიფიქრეს, კალაძეები გამდიდრდნენ და ხელსაც მოვითბობთო. როცა ლევანი გაიტაცეს, ბუნებრივია, ეს ამბავი მთელმა მსოფლიომ გაიგო, დამნაშავეებმა კი, მერე სხვა გზა რომ არ ჰქონდათ, ჩემი ძმის მოკვლა გადაწყვიტეს. ვინ არის დამნაშავე? ალბათ, უფრო მე, ლევანი ხომ იმ ფულს შეეწირა, რომლის გამომუშავებაც პატიოსნად დავიწყე.

საფრთხე? უსაფრთხოება!

ქართველებმა რუსები დაამშვიდეს

13-18 ოქტომბერს თბილისში ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება, რომელშიც საქართველოს გარდა გერმანია, რუსეთი და მაკედონია მონაწილეობენ. თუმც ბოლოხანს საქართველო-რუსეთს შორის გართულებული პოლიტიკური ურთიერთობის გამო საკითხავი გახდა, ჩამოვლენ თუ არა თბილისში რუსი 17-წლამდელები.

თავის მხრივ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ მზადაა, რუსთა 17-წლამდელთა ნაკრებს უსაფრთხოების გარანტიები დღესვე მისცეს და ამის თაობაზე უეფასაც და რუსეთის საფეხბურთო კავშირსაც დაუყოვნებლივ აცნობებს.

დანარჩენი უკვე რუსეთზეა...

ქართველ ქალთა ვნახეთ გოლი

აი, პროგრამისი — ავსტრიასთან 0:10 და გერმანიასთან 0:18 წაგებების შემდეგ საქართველოს ქალ 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროშესარჩევი ტურნირის მასპინძელ მაკედონიას აართვა ქულა. თუმცა რაღა აართვა — ქართველი გოგონები 2:0 იგებდნენ...

მოკლედ, პირველი გოლები და პირველი ქულა არის — ქართველმა 19-წლამდელმა გოგონებმა ჯგუფში ერთი ქულა აიღეს და ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩნენ იმავ მაკედონიას.

ჯგუფის გამარჯვებული კი გერმანია გახდა — ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა ბოლო ტურში ავსტრია 5:1 მიანგრიეს.

ქაჯა შალამბერიძე

თბილისის „დინამოში“ გასინჯულ-დაწუნებულმა კამერუნელებმა, კრისტიან მიშელ ეჰანმა და ემანუელ ჟიიპამ ზემო იმერეთში გადაინაცვლეს და ამჟამად საჩხერის „ჩიხურაში“ ისინჯებიან. ეს ამბავი იმერული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა *ხვიჩა ქასრაშვილმა* დაგვიდასტურა...

— კამერუნელ ფეხბურთელებზე ჯერჯერობით რაიმე კონკრეტულს ვერ გეტყვით. 7 ოქტომბერს „ამერთან“ ამხანაგურ შეხვედრას გავმართავთ და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, დარჩებიან თუ არა გუნდში აფრიკელები.

— სხვა ფეხბურთელებითაც ხომ არ აპირებთ გაძლიერებას?

— ჯერჯერობით მხოლოდ ამ ორს გავსინჯავთ. სხვა ფეხბურთელების დამატებას მეორე წრემდე არ ვაპირებთ.

— ლაპარაკია, მეორე წრისთვის „ჩიხურა“ ფინანსურად უფრო მოლონიერდებაო...

— ამის შესახებ საუბრები მართლაც მიდის. სავარაუდოდ, გუნდში მეტი ფინანსები გაჩნდება და, შესაბამისად, გაძლიერებასაც ვაპირებთ.

ზემოიმერული ჰეიზაჟი ჟიიპათი და ეჰანით



ბადრი კეთილაძის ფოტო

— „ჩიხურა“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, თასისთვის ბრძოლაში კი ჯგუფიდან გასვლის პერსპექტივა გაქვთ. რას ისახავთ მიზნად?

— მართალია, ჯერჯერობით სახარბიელო სატურნირო მდგომარეობა არ გვაქვს, მაგრამ ამ შემადგენლობით მეტის მოთხოვნაც არ შეიძლება. პირველ წრეში მაქსიმალურად ვიბრძოლებთ ქულების მოსაპოვებლად. ფინანსური საკითხების მოგვარების შემდეგ, მერწმუნეთ, „ჩიხურა“ საჩუქარი არავისთვის იქნება. რაც შეეხება თასს, ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გაგვიჩნდა და მის გამოყენებას ვაპირებთ.

ბადრი კეთილაძის ფოტო

ჰამბურგი და გორი: იპოვეთ განსხვავება

„ამდენ ხანს არც ერთ გუნდში არ გავჩერებულვარ. ოთხი წელია, „ამერში“ ვარ და მიხარია აქ ყოფნა. ყურადღება და პატრონობა ყველა ნაბიჯზე იგრძნობა. არა მგონია, ბევრი კლუბის პრეზიდენტი დადიოდეს ვარჯიშებზე. ახლა მართლაც კარგი პერიოდი გვიდგას და ყველა საშუალებაა, რომ უფრო მოვუმატოთ“ — გვითხრა „ამერის“ კაპიტანმა **გიორგი დავითნიძემ.**

თქმა არ უნდა, გიორგი ჩიხრაძის გუნდი ჩემპიონატის ყველაზე რეალური თუ არა, ერთ-ერთი გამორჩეული ფავორიტია. დავითნიძეს კი არა მარტო „ამერზე“, ზოგადად, ჩვენს ჩემპიონატზეც ვესაუბრეთ...

— წინა სეზონის შემდეგ „ამერის“ შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა, მაგრამ შედეგის მხრივ შედარებაც არაა. რის ხარჯზე ასეთი პროგრესი?

— მაშინ ახალი ფეხბურთელები დროულად ვერ შეეწყვნენ გუნდს, ახლა კი ყველაფერი რიგზეა. გარდა ამისა, ევროტურნირებზე თამაშით დიდი გამოცდილება შევიძინეთ, განსაკუთრებით კი „ჰერტასთან“ მატჩებში.

— ექვსი მოგების შემდეგ ბოლნისში ფრე ითამაშეთ და გუნდი ძალიან დამწუხრებული ჩანდა. ასე განიცადეთ პირველი ქულების დაკარგვა?

— განვიცადეთ იმიტომ, რომ „სიონთან“ მოგება თავისუფლად შეგვეძლო...

— წმინდა სათამაშო კომპონენტებში „ამერი“ რით სჯობია სხვა ქართულ გუნდებს?

— ფიზიკურად არც შარშან ვიყავით ცუდად, მაგრამ ახლა უფრო მხნედ ვართ. ამ მხრივ ყველა გუნდს ვჯობნით. ვინც „ამერის“ თამაშებზე დადის, ყველა ამბობს, რომ მეორე ტაიმსაც ჩვეულ ტემპში ვატარებთ.

— „ამერი“ „ჰერტას“ ტოლსწორად ებრძოლა, „ვიტ ჯორჯია“ „არტმედიას“, „სიონმა“ „ბაკი“ გამოთიშა — დავიჯეროთ, ეს ჩემპიონატის დონის ამაღლებაზე მიუთითებს?

— წლეულს ქართულ კლუბებს ევროპაში თავი არ შეურცხვენიათ, მაგრამ ჩემპიონატის დონის ამაღლებისა რა გითხრათ... ისევ ისეთი დარჩა. თოთხმეტი კლუბიდან ხუთს ფული არ აქვს, სულ ხუთი თუ ექვსი გუნდია, რასაც გუნდი ჰქვია. აი, მოედნების მდგომარეობა გამოსწორდა.

— „ამერი“ რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, თქმაც არ უნდა. თქვენი მთავარი კონკურენტი ვინ იქნება?

— „ვიტ ჯორჯია“, „ოლიმპი“ და „ზესტაფონი“.

— „დინამო“?

— არა მგონია. არც „დინამო“ და არც „სიონი“.

— „ამერი“ რომ ასე კარგად ათამაშდა, სომხურ „ბანანცთან“ საშინაო წაგების „ბრალიც“ ხომ არაა?

— თბილისში „ბანანცთან“ მარცხი ალოგიკური იყო. მთელი თამაში ვუტევდით და თითქოს უეჭველად უნდა მოგვეგო, მაგრამ აქეთ გავუშვით გოლი. საბედნიეროდ, საპასუხო მატჩმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

— და მაინც, „ამერის“ სიძლიერე „ბანანცთან“ კი არა, „ჰერტასთან“ გამოჩნდა. ალალად რომ ვთქვათ, გქონდათ გერმანელების გაგდების შანსი?

— მგონი, გვქონდა. ბერლინში 0:1 წაგების შემდეგაც მომდევნო ეტაპზე გასვლაზე ვფიქრობდით და, ჩემი აზრით, „ჰერტას“ გადავლახავდით, ბევრი გამოუცდელი ფეხბურთელი რომ არ გვყოლოდა — ზოგიერთები პირველად თამაშობდნენ ევროტურნირებზე. ყველაფერი გავიღეთ, მაგრამ გერმანელებმა კლასით გვაჯობეს.

— უეფას თასიდან ისევ საქართველოს ჩემპიონატზე გადმორთვა არ გაგიჭირდათ?

— ეს მომენტი თავისთავად ჩნდება, მაგრამ როცა პროფესიონალი ხარ, ყველა თამაშს სერიოზულად უნდა მიუდგე. გიორგი ჩიხრაძე ამ მომენტზე ბევრს მუშაობს. „ამერი“ — „ჰერტა“ რომ დასრულდა, სამ დღეში ბერლინელები ჰამბურგში ჩავიდნენ სათამაშოდ, ჩვენ კი გორში: აი, ამაშია განსხვავება, ამით გვაჯობა „ჰერტამ“. მათსავით ძლიერ გუნდებს რომ ვხვდებოდეთ, მაშინ სხვა იქნებოდა...

ილია ნანოგაშვილი

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	სიენა 0:0	90		3	0	12
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ლევერკუზენი 1:3	59	შეცვალეს	5	0	5
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	აუე 1:3	90	საგოლე პასი	5	0	14
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	აუე 1:3	0	სათადარიგო	0	0	14
დავით სირაძე	აუე	შ	ფრაიბურგი 3:1	90	საგოლე პასი	5	0	12
მათე ღვინიანიძე	მიუნხენი	შ	კარლ ცაისი 2:0	90		5	0	3
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	დარმშტადტი	ს	ჰოფენჰაიმი 2:4	25	შეცვლაზე ითამაშა	8	0	16
შვეიცარია. თასი								
მიხეილ ყაველაშვილი	ბაზელი	ს	ლუგანო 4:0	0				
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	შ	უიგანი 2:1	90		6	0	9
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	დენ ჰაგი 2:2	0	ტრავმირებულია	5	3	2
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	ვალვაიკი 4:3	0		1	0	6
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	რუბინი 4:2	0	ტრავმირებულია	14	0	1
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	რუბინი 4:2	0	ტრავმირებულია	3	0	1
მიხეილ აშვეთია	რუბინი	შ	ლოკომოტივი 2:4	0	სათადარიგო	13	0	11
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	შ	ლოკომოტივი 2:4	0	განაცხადში არ იყო	4	0	11
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	ლოკომოტივი 2:4	90		11	0	11
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	შ	ლოკომოტივი 2:4	0	სათადარიგო	2	0	11
ზურაბ არზიანი	რუბინი	შ	ლოკომოტივი 2:4	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	11
ბექა ჟღენტი	ტორპედო	შ	ლუჩ-ენერგია 2:1	0	ტრავმირებულია	0	0	14
დავით მუჯირი	კრილია	ს	დინამო 1:1	0	ტრავმირებულია	18	4	9
გიორგი ლომაია	ლუჩ-ენერგია	ს	ტორპედო 1:2	90		2	0	12
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	ს	ზენიტი 0:4	0	დისკვალიფიცირებული	19	3	7
ალექსანდრე ჩიხრაძე	ნალჩიკი	ს	ზენიტი 0:4	90	გააფრთხილეს	22	0	7
ლევან გვაზავა	ნალჩიკი	ს	ზენიტი 0:4	6	შეცვლაზე ითამაშა	18	2	7
ალეკო ამისულაშვილი	შინიკი	შ	როსტოვი 1:6	90		11	1	16
ზურაბ მენთეშაშვილი	შინიკი	შ	როსტოვი 1:6	66	შეცვალეს	8	0	16
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	შ	ტავრია 2:1	0	სათადარიგო	2	0	2
დავით იმედაშვილი	დინამო	შ	ტავრია 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	1	0	2
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	კრივბასი 1:1	1	შეცვლაზე ითამაშა	9	2	10
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ილიჩევეცი 2:1	90	1 გოლი	7	1	12
დავით კვირკველია	მ. ზაპოროჟიე	შ	ილიჩევეცი 2:1	90	1 გოლი	7	2	12
ლევან სილაგაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ილიჩევეცი 2:1	0	განაცხადში არ იყო	0	0	12
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	შ	ვორსკლა 2:0	90		6	0	6
კახა მჟავანაძე	ჩერნომორეცი	შ	ვორსკლა 2:0	90		6	0	6
გიორგი შაშიაშვილი	ჩერნომორეცი	შ	ვორსკლა 2:0	0	სათადარიგო	4	0	6
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	შ	მ. დონეცკი 1:1	90		9	6	9
ლადო ბურდული	კრივბასი	შ	მ. დონეცკი 1:1	90	გააფრთხილეს	9	1	9
კახა ალადაშვილი	დნიპრო	ს	კარპატი 1:0	0	სათადარიგო	3	0	3
ჯაბა კანკავა	არსენალი	ს	ხარკოვი 0:2	90		8	2	4
ლაშა ჯაკობია	არსენალი	ს	ხარკოვი 0:2	0	ტრავმირებულია	5	2	4
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	ს	შახტარი 1:3	90		7	0	15
სერგო ორბელაძე	ილიჩევეცი	ს	მ. ზაპოროჟიე 1:2	0	სათადარიგო	1	0	13
საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა								
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	ს	არისი 2:2	0		3	0	14
ლევან მაღრაძე	ქსანთი	ს	ლარისა 0:1	90		4	0	15
საბერძნეთი. მეორე ლიგა								
დავით ქოქიაშვილი	ეთნიკოსი	შ	იანინა 1:1	90		3	0	13
კოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	ლკს	ს	ბელხატოვი 2:1	0		1	0	4
ბულგარეთი. უმაღლესი დივიზიონი								
ვლადიმერ კაკაშვილი	რილსკი	ს	ბეროე 0:1	0		4	0	15
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ზაალ ელიავა	სკონტო	ს	დინაბურგი 6:0	0	ტრავმირებულია	12	0	3
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	დინაბურგი 6:0	0	სათადარიგო	2	0	3
ალექსანდრე რეხვიაშვილი	იურმალა	შ	მეტალურგსი 1:0	0		9	0	6
ირაკლი ქორთუა	დიუვანაგი	ს	დიტონი 1:2	90		5	0	8

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



მასიმო მორატის დღეს დაკითხავენ

დე სანტისი

ჯულიანო ტავარელიმ „ინტერი“ ამხილა

ციხიდან გამოპარული ჩასაშვები ამბავი

უსაფრთხოების სახიფათო შეფმა ინტერი დაამღერა

„ინტერის“ პრეზიდენტი, მილიარდერი მასიმო მორატი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგამოძიებო ოფისის ხელმძღვანელ ფრანჩესკო საერიო ბორელის დღეს შეხვდება და ეტყვის, რომ ის, რასაც მასზე ამბობენ, ტყუილია. გუშინ ბორელის, ამჟამად დისკვალიფიცირებული მსაჯი მასიმო დე სანტისი უნდა შეხვედროდა. ისტორია, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონთა ქვეყანაში იძიებენ, „სარბიელის“ მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი, თუმცა მასში ახალი პერსონაჟები გამოჩნდნენ, რომელთაც „ინტერის“ გარშემო უსიამოვნებათა წრე შეავიწროვეს.

დავაზუსტოთ: დე სანტისის ჩივილი, რომ 2002 წელს, „ინტერის“ ხელმძღვანელობის დაკვეთით მას თან უთვალთვალებდნენ და, თან მის სატელეფონო საუბრებსაც უსმენდნენ, როგორც ჩანს, მთლად ტყუილი არ უნდა იყოს, თუ... კაცი, რომელიც ამას ნაწილობრივ ადასტურებს, მთლად უსინდისო არ არის. ეს კაცი, რომელსაც ზემოთ ახალი პერსონაჟი ვუწოდეთ, გახლავთ ჯულიანო ტავაროლი, ტელეკომ იტალიას უსაფრთხოების ყოფილი შეფი, რომელმაც ხმა ვოგერას ციხიდან აიმაღლა. უფრო სწორედ, სინიორ ჯულიანო ტავაროლის სათქმელი, კალჩოპოლის სკანდალითა და მისი გაგრძელებებით დაინტერესებულ საზოგადოებას მისმა ვექილმა მასიმო დინოიამ გააგონა.

„დე სანტისის სატელეფონო საუბრების მოსმენის ამბავი მარცხალია — თქვა იურისტმა — ამის ინიციატორი ნაწილობრივ „ინტერის“ ხელმძღვანელობა გახლდათ, ნაწილობრივ კი კერძო დეტექტივი ემანუელე ჩიპრიანი. მაშინდელ ძიებას უპირველეს მიზნად დე სანტისის ქონების გამოკვლევა ჰქონდა დასახული და ის 2002-2003 წლებში მიმდინარეობდა“.

თუ მსაჯის სატელეფონო საუბრების მოსმენის ამბავი და ამ ამბავთან მილანური კლუბის კავშირი დმტკიცდება, „ინტერს“ წესით სასჯელი არ უნდა ასცდეს, მაგრამ როგორი იქნება ეს სასჯელი ძნელი სათქმელია, რამეთუ კალჩოპოლის სკანდალს გადაყოლილმა იტალიელებმა ჩემპიონატი როგორც იქნა დაიწყეს და ახლა მისი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, უბრალოდ წარმოუდგენელია.

პაპუნა კედია

ნედვედს პაველი ესმის და ასაკი აკლდება

ტურინის „იუვენტუსს“ მინუს 17 ქულიდან ოთხიღა დარჩა. გასულ უქმეებზე „ბებერმა ქალბატონმა“ მორიგი გამარჯვება „პიაჩენცასთან“ იზეიმა. ამ შეხვედრის შემდეგ, ვეტერანმა ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა საინტერესო კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, იგი სერია **B**-ში თამაშისგან სიამოვნებას იღებს.

„ახლა ჩვენ ბრწყინვალე ფეხბურთს ვთამაშობთ, რომელსაც კარგი შედეგიც მოაქვს. ვიცოდით, რომ სერია **B**-ში ატმოსფეროს შესაგუებლად გარკვეული დრო დაგჭირდებოდა, საბედნიეროდ, ეს მხოლოდ ერთი მატჩი აღმოჩნდა. „რიმინისთან“ ნათამაშები ფრის შემდეგ ცოტა გაგვიჭირდა „ვიჩენცასთანაც“, მაგრამ ის შეხვედრა მაინც მოვიგეთ და ახლა ადაპტაციის პრობლემა აღარ გვაქვს“ — თქვა 34 წლის ფეხბურთელმა.

ცოტა ხნის წინ დავიდ ტრეზეგემ განაცხადა, კარგად რომ ვთამაშობთ, ამაში ქომაგები და სტადიონიც გვეხმარებაო. მოგეხსენებათ, „იუვე“ დროებით, ტურინის „ოლიმპიკოზე“ თამაშობს, სადაც ბევრად უფრო საფეხბურთო ატმოსფეროა და ტრიბუნებიც სულ სავსეა. „დელე ალპი“ კი ქალაქის ცენტრისგან ძალიან მოშორებითაა, ხშირად ნისლი ჩამოწვება ხოლმე და სარბენი ბილიკები მაყურებელსა და ფეხბურთელებს ერთობ აშორებს.

პაველ ნედვედი: „ფანები ძალიან გვეხმარებიან, ამაღელვებელი და წმინდა საფეხბურთო გარემოა. მართლაც ბრწყინვალეა, როცა ქომაგები მინდორთან ასე ახლოს არიან და მხარს გიჭერენ. მახსოვს, როგორ ვიმუხტებოდით და რამხელა დამატებით სტიმულს ვიღებდით, როცა ჩემპიონთა ლიგის ზოგიერთ მატჩზე „დელე ალპი“ მთლიანად ივსებოდა. „სტადიო ოლიმპიკოზე“ კი ყოველ თამაშზე ასეა“.

ჟურნალისტებმა ჩეხს, კარიერის შესაძლო დასრულებაზეც ჰკითხეს. 2003 წლის „ოქროს ბურთის“ ლაურეატი ნაკრებიდან გერმანიის მუნდიალის მერე საბოლოოდ წავიდა, ხოლო საერთოდ ფეხბურთს როდის შეელევა, ჯერ არ გადაუწყვეტია.

„ჯერჯერობით ფეხბურთის თამაშისგან სიამოვნებას ვიღებ. ამიტომ წასვლაზე აღარ ვფიქრობ. ჩემს ასაკში გულშემატკივრების მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს. როდესაც შენს სახელს ყვირიან და გქომაგობენ, თავს უფრო ახალგაზრდადაც გრძნობ და იმუხტები. ვხვდები, რომ ბევრი რამ შეიცვალა. დიდი ფსიქოლოგიური ხეწოლა აღარ არის, უფრო მშვიდად ვართ და თამაშისგან სიამოვნებას ვიღებთ. ამ სეზონში ჩვენი ამოცანაც საკუთარი თამაშით ტკბობაა, რაშიც ფანები ძალიან გვეხმარებიან და წარმატებებსაც მათი წყალობით ვაღწევთ“ — დასძინა ნედვედმა.

გიორგი კაკაბაძე

მეგობრობა ბურთი არ არის, აუტში გადავარდეს

მილანელები და შევჩენკო ერთად ჩასხდებიან

რაც ანდრეი შევჩენკო „ჩელსიში“ გადავიდა, ძველებურად შედეგიანი ველარ არის. მან ჯერ მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლო და მინდორზეც ცოტა დაბნეული გამოიყურება. ამბობენ, შევას, რომელსაც რამდენიმე დღის წინ 30 წელი შეუსრულდა, „მილანი“ ენატრებაო. ამ ყველაფერმა კი ჭორების ახალი ტალღა ააგორა — შესაძლოა, უკრაინელი „სან სიროზე“ დაბრუნდესო. თუმცა ეს არარეალურია და „როსონერის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტიც ასე ფიქრობს.

„მისი დაბრუნების არანაირი შანსი არ არის. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოხდეს ეს. თუმცა ჩემზე რომ იყოს, ყველას დავაბრუნებდი, ვინც „მილანში“ კარგად ირჯებოდა — შევას, მანუელ რუი კოშტას, იაპ სტამს და რივალდოსაც. ანდრეიმ ამდენი წლის მერე გარემო შეიცვალა და, ცხადია, დრო სჭირდება, რათა „ჩელსის“ მოერგოს“ — აღნიშნა ანჩელოტიმ.

შევჩენკო ცოტა ხანში მართლაც დაბრუნდება იტალიაში, ოღონდ უკრაინის ნაკრებთან ერთად „სკუადრა აძურასთან“ საპაექროდ. ეს შეხვედრა 7 ოქტომბერს რომში „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაიმართება და მას „მილანის“ რამდენიმე წარმომადგენელიც დაესწრება, რომლებიც შევასთან შეხვედრას აპირებენ.

„ჩვენ აუცილებლად შევხვდებით შევჩენკოს მატჩის მერე, რათა როგორც მეგობრებმა მისი დაბადების დღე აღვნიშნოთ. ანდრეიმ იცის, რომ თუ ოდესმე ლონდონში მარტოდ იგრძნობს თავს ან მოიწყენს, ჩემი, კარლო ანჩელოტის, დირექტორ არიედო ბრაიდას და რამდენიმე ფეხბურთელის კარი მისთვის ყოველთვის ღიაა“ — განაცხადა „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

გიორგი კაკაბაძე

არტისტი და აფერისტი

მადრიდული დერბი „რეალსა“ და „ატლეტიკოს“ შორის ფრედ დასრულდა. სადღეისოდ სამეფო კლუბი პრიმერადივიზიონის ცხრილში მეხუთე ადგილზეა, ხოლო „ათლეტები“ — მეექვსეზე. „სანტიაგო ბერნაბეუს“ მატჩის შემდეგ „რეალის“ მწვრთნელ კაპელოს მადრიდული „ასი“ გაესაუბრა

ტორესის თაღლითობამ და რამოსის გაძევებამ კაპელო გააცეცხლა

— დიარას და ემერსონს მოედნის ცენტრში რა პრობლემები ჰქონდათ?

— პირველ ტაიმში ძლიერად ვერ ვითამაშეთ. დიარა, ემერსონი და გუტი თავ-თავიანთ ადგილს ვერ პოულობდნენ. მეორე ტაიმში კი სერხიო რამოსი გაგვიგდეს, რამაც მატჩის ჩვენ სასარგებლოდ დასრულების შანსები მინიმუმამდე შეამცირა. რაულმა ანგარიში გაათანაბრა და შესვენების შემდეგ ბიჭებმა შესანიშნავად დაიწყეს, ვან ნისტელროის მეორე გოლის გატანაც შეეძლო. საერთოდ, მეორე ტაიმის პირველი 10 წუთის განმავლობაში „ბერნაბეუზე“ ჩვენ ვბატონობდით, გუტის კარგი საგოლე ეპიზოდი ჰქონდა. შემდეგ ის წითელი ბარათი... არა მგონია, საქმე ისე მძიმედ ყოფილიყო, როგორც მსაჯმა ჩათვალა. ტორესმა რამოსთან შეჯახება არტისტულად გააფორმა და არბიტრს ისე მოაჩვენა, თითქოს სერხიომ მას სახეში გამეტებით ჩაარტყა ხელი. ცუდია, როცა ასეთი დონის ფეხბურთელი მოედანზე თვალთმაქცობს. ლაინსმენიც არ იყო მოწოდების სიმაღლეზე, ხომ შეეძლო მატჩის არბიტრისთვის სიმართლე ეთქვა? მადრიდული დერბის მსგავს მნიშვნელოვან მატჩში მსაჯები ყურადღებით უნდა იყვნენ. გუტის ხუთჯერ მწარედ ჩაარტყეს ფეხში, რათა მას სრულფასოვნად თამაში ვერ მოეხერხებინა. სერხიო რამოსი კი არბიტრმა მალენკომ ტორესის არტიტობას შესწირა.

— ძალიან გაბრაზებული ხართ...

— მხოლოდ ის გითხარით, რაც უსამართლობად მიმაჩნია და ახლაც გიმეორებთ: ტორესი მსახიობია, რომელმაც მსაჯი მოატყუა და ამისთვის დისკვალიფიკაცია ეკუთვნის. აფერისტები არ მიყვარს, არც მოედანზე და არც ცხოვრებაში.

— ინჩასებმა ემერსონს და დიარას უსტვინეს. ეს სამართლიანი იყო?

— რაც რაულის თავზე ხდებოდა, ახლა იგივე ემერსონს ემართება. მერწმუნეთ, საბოლოოდ ემერსონი თავის სიტყვას იტყვის, „რეალში“ ტყუილუბრალოდ არ მომიყვანია.

— მატჩის პირველ 35 წუთში „რეალის“ სისუსტეს რითი ახსნით?

— მეტოქემ მჭიდრო პრესინგს მიმართა. „რეალი“ კი, მოგეხსენებათ, კომბინაციურ თამაშს მიმართავს და „ატლეტიკოს“ პრესინგმა პრობლემები შეგვიქმნა.

— ყველაზე მეტად გული რომელ შეცდომაზე გწყდებათ?

— პირველ ტაიმში სწრაფად ვერ ვითამაშეთ. ეს არის და ეს.

— როგორც უკვე თქვით, თავიდან მეტოქემ გუტის ფეხებზე გვარიანად ინადირა...

— წინ გუტი, რეიესი და რაული გვყავდა, მათ თამაში უნდა მოექარგათ, მაგრამ „ათლეტებმა“ „ვაჟკაცურად“ იჭიდავეს... პირველი ტაიმის ბოლოსვე დავრწმუნდი, რომ მეტოქე ჩვენი მოიერიშეების ჩეხვით უკვე მისავათდა და ძალ-ღონე გამოეცალა. მეორე ტაიმი გაიხსენეთ, „ატლეტიკოს“ რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ისე იყო დაღლილი, რომ თამაშის მოგება ვეღარ შეძლო. „რეალმა“ კი, პირიქით, შესვენების მერე უკეთ იბურთავა.

— „რეალმა“ ორი ქულა დაკარგა თუ ერთი მოიპოვა?

— 90 წუთი 11 ფეხბურთელით რომ გვეთამაშა, გეტყოდით, 2 ქულა დავკარგეთ-მეთქი. ჩვენ ხომ მთელი 30 წუთის განმავლობაში მოედანზე ათნი ვიყავით. ამ შემთხვევაში კი ქულაც კარგი მონაპოვარია. მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში „ატლეტიკო“ გაითანგა, „რეალი“ მეტოქეზე უფრო სწრაფი და სახიფათო იყო.

— რაულზე რას გვეტყვით?

— რაული ჩემთვის მუდამ რაულად რჩება. იგი ესპანეთისთვის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს, მოედანზე სულ იბრძვის და ამ ბოლო დროს საგოლე ალღოც დაიბრუნა. რაული ყოველთვის მომწონდა და რაც მადრიდში ჩამოვედი, სულ ვცდილობ, თავის გამოჩენის შანსი არ დავუკარგო. ბევრმა გონსალეს ბლანკოზე ხელი ჩაიქნია, მე კი ვიტყოდი, რომ რაულისნაირ ფეხბურთელს დიდი ფეხბურთის თამაში კიდევ დიდხანს შეუძლია.

— სერხიო რამოსის გაძევების შემდეგ „რეალს“ გამარჯვებისთვის ამბიცია მოაკლდა?

— ვფიქრობ, რომ მეტ-ნაკლებად ყველაფერს თავი კარგად გავართვით. ყველა გუნდს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე გამოდის, პრობლემები აწუხებს. ფსიქოლოგიურმა დაღლილობამაც თავისი როლი ითამაშა. „ატლეტიკოსთან“ ზოგიერთ ჩემს ფეხბურთელს დაღლილობა შევატყვე. ასე რომ არ ყოფილიყო, მათ არ შევცვლიდი.

— გუტის შეცვლით „ატლეტიკოს“ სჭლის მოთქმის საშუალება ხომ არ მიეცით?

— მას შემდეგ, რაც მოედანზე დამართეს, სხვა გზა აღარ დამრჩენოდა. „ატლეტიკოს“ მხარდაჭერაში ვერ დამადანაშაულებთ. მოგებისთვის ყველაფერი გავაკეთე და რონალდოც შეუშვი მოედანზე.

— მოედანზე თქვენი შეგირდები ათნი დარჩნენ და კაპელომ შემტევი ფეხბურთელი შეცვალა...

— ჩავთვალე, რომ მარჯვენა ფლანგზე ბექემის დაყენება იყო საჭირო. დევიდი მაღალი დონის ფეხბურთელია და იმ ეპიზოდში ასე გადავწყვიტე. ყველა მწვრთნელს თავისი იდეები აქვს. თანაც მეხიას ყვითელი ბარათი ჰქონდა და დამხმარე სჭირდებოდა.

— ბექემი თქვენი მესამე სათადარიგო შანსია?

— ჩვენს განკარგულებაშია 20 საუკეთესო ფეხბურთელი და მომავალ მატჩებში როტაციებს მივმართავთ.

— რაულს და რეიესს ფლანგებზე ადგილები რატომ შეუცვალეთ?

— ვგონებ, ეს უსარგებლო იდეა არ ყოფილა. რაულმა გოლი გაიტანა და რეიესსაც თავი არ შეურცხვენია.

ინტერი და მანჩინი ერთმანეთს სცემენ

ფაბიო გროსო (მარცხნივ) კონფლიქტს უარყოფს

მორიგი მოუგებელი მატჩის მერე მილანის „ინტერს“ კრიტიკის ახალი ტალღა დაატყდა თავს. ლაპარაკია „ნეროაძურიში“ არსებულ გაუთავებელ კრიზისსა და რობერტო მანჩინის შესაძლო გაშვებაზე. თუმცა „კალიარისთან“ „ინტერის“ მაისურით პირველი გოლის გამტანი ფაბიო გროსო ამ ყველაფერს უარყოფს.

„კალიარისთან“ ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ მაინც მეტი მომენტის შექმნა გვმართებდა. მათ გაუმართლათ, რომ ანგარიში გახსნეს. მერე სხვაობის გაზრდის შანსიც ჰქონდათ, თუმცა მთელ მატჩს ჩვენ ვაკონტროლებდით. ბუნებრივია, მეტოქე რამდენიმე მომენტს შექმნის, თან როცა იგი „კალიარია“ და შინ თამაშობს. ამიტომ პანიკა საჭირო არ არის, ყველაფერი კარგად იქნება. ვიცით, რომ ამ სეზონში ჩვენგან ბევრს ითხოვენ. ვეცდებით, წარმატებას მივაღწიოთ, ჩვენ ეს შეგვიძლია“ — თქვა გროსომ.

„ინტერმა“ ამ სეზონში უკვე 4 წითელი ბარათის მიღება მოასწრო. ერთ-ერთი მათგანი გროსომაც „დაიმსახურა“. პრესაში ამბობენ, ეს გუნდში არსებული დაძაბულობის ბრალია, ფეხბურთელებსა და მწვრთნელს ცუდი ურთიერთობა აქვთო.

ფაბიო გროსო: „კატეგორიულად უარვყოფ ამას. მწვრთნელთან ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს. იგი ჩვენ პატივს გვცემს, ჩვენ კი — მას“.

ვთქვათ ისიც, რომ „კალიარისთან“ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ არგენტინელი სანტიაგო სოლარი დაასახელეს. მან 33-ე წუთზე დაშავებული ერნან კრესპო შეცვალა და მშვენივრადაც გაისარჯა. არადა, სოლარის მანჩინი იშვიათად ათამაშებს ხოლმე.

„მთელი მატჩის მანძილზე ჩვენ ვდომინირებდით. უბრალოდ, მომენტების გამოყენება ვერ შევძელით, რაც ძალიან დასანანია. წესით, ეს შეხვედრა უნდა მოგვეგო. მიხარია, რომ თამაშის საშუალება მომეცა და კარგად გავისარჯე. ახლა ყველამ ერთად ბევრი უნდა ვიმუშაოთ და ფორმაში შევიდეთ“ — აღნიშნა სოლარომ.

ძოკი ბანდელაძე

დიდამ დუნგას შარი დაუდო

იტალიური „მილანის“ ბრაზილიელმა მეკარე დიდამ სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. სეზონის ბოლოს კი 33 წლის ფეხბურთელმა შესაძლოა, „მილანიც“ დატოვოს. „როსონერისთან“ კონტრაქტი მას მომავალ ზაფხულს ეწურება და გახანგრძლივებას არ ჩქარობს.

„დიდამ მითხრა, რომ „სელესაოში“ თამაში აღარ უნდა“ — თქვა ბრაზილიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა კარლოს დუნგამ.

ნელსონ დიდა ბრაზილიასთან ერთად მსოფლიოს ბოლო სამ ჩემპიონატზე იყო. თუმცა ძირითად მეკარედ მხოლოდ გერმანიის მუნდიალი ჩაატარა. სულ ეროვნულ ნაკრებში 136-ჯერ უთამაშია. მისი საკლუბო კარიერა კი „ვიტორიაში“ დაიწყო, რასაც „კრუზეირო“, „კორინთიანსი“ და „მილანი“ მოჰყვა.

„მარტივი ვითარებაა. მას კლუბთან კონტრაქტი 2007 წლის ზაფხულში ეწურება. დიდას გახანგრძლივებაზე ხელი ჯერ არ მოუწერია, მაგრამ ვფიქრობ, მხარეები მალე შეთანხმდებიან. თუ იგი წასვლას გადაწყვეტს, სეზონის ბოლომდე ჩვენი ძირითადი მეკარე იქნება, მერე კი სხვას მოვნახავთ. კარგი იქნება თუ დიდა დარჩება, მაგრამ იგი შეუცვლელი არ არის. ნებისმიერ შემთხვევაში, მისდამი მადლობის გარდა არაფერი გვეთქმის“ — აღნიშნა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანმ.

შიონკე ვორტმანი წარმოგიდგენთ: ამ ფილმში უკანალებს ვერ ნახავთ!

შიონკე ვორტმანი — ასე ჰქვია გერმანელ რეჟისორს, რომელიც თავისი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებს მთელი მუნდიალის განმავლობაში, სასტუმროს ოთახებიდან სტადიონების საშხაპეებამდე სდევდა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ამოუსუნთქავად იმუშავა, რათა მის აპარატურაში დაგროვილი 100 საათიანი მასალა ერთ შეკრულ ფილმამდე დაეყვანა

მიხეილ ბალაკი ზეიმის წინააღმდეგი იყო

დოკუმენტური ფილმის ჟანრში ვორტმანი უცნობი და გამოუცდელი სულაც არ გახლავთ. 2003 წელს მან გვარიანი ტაში და ქება-დიდება დაიმსახურა ფილმისთვის, რომელშიც გერმანიის, უფრო სწორედ კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1954 წლის ნაკრები მოიგონა.

ვორტმანის ახალი ნამუშევრის პრემიერა დღეისთვის არის დანიშნული — 3 ოქტომბერს გერმანია, გდრ-ს და გფრ-ს გერთიანების 16 წლისთავს ზეიმობს. ნამუშევარს ჰქვია „გერმანია: ზაფხულის ზღაპარი“ და მას ერთდროულად ქვეყნის 400 კინოთეატრში გაუშვებენ.

ფილმში რეჟისორი, რომელიც, სხვათა შორის, ოდესღაც თავად გახლდათ რეგიონალიგის ფეხბურთელი, არ მალავს თავის აღტაცებას აწ უკვე ყოფილი „ბუნდესტრაინერის“ იურგენ კლინსმანის მიმართ, რომელმაც იგი არ შეზღუდა და ნება დართო, როდესაც და სადაც მოესურვებოდა მაშინ და იქ ჩაერთო ზომით პატარა, მაგრამ ტექნიკურად დახვეწილი აპარატი.

„ჩემი აზრით, გერმანიის ნაკრებმა მთელი ქვეყანა აღაფრთოვანა — უთხრა ვორტმანმა სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტებს — ეს, რაღაც წამიერი და წარმავალი არ ყოფილა, ეს გახლდათ დიადი და მშვენიერი მოვლენა, რამაც გერმანია, როგორც ქვეყანა შეცვალა. მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში გუნება-განწყობა განსაკუთრებული იყო და მწამს, მისი კვალი დიდხანს გაჰყვება ჩვენს ხალხს“.

საბოლოოდ ფილმი 108 წუთიანი გამოვიდა. 47 წლის რეჟისორი რამდენიმე დღის წინ ჯერ კიდევ სამონტაჟო მაგიდას უჯდა და ცვლილებებით გახლდათ გართული, თუმცა იდეალური არაფერია და, როგორც ამბობენ, ამ ფილმსაც აქვს ნაკლი. მაგალითად, ნაკრების პრეს-მდივნისა და ფსიქოლოგის კომენტარებს მხოლოდ გუნდის წევრები თუ გაიგებენ, რადგან ამ ორი კაცის რაობა და ვინაობა განმარტებული არ გახლავთ და ამიტომ, ფართო მაყურებლისთვის რამდენიმე ეპიზოდი გაუგებარი დარჩება. მერედა, როგორც თავად ვორტმანი ამბობს, იყო საკვანძო მომენტები, როდესაც იგი თავად გაიტაცა ემოციამ, წამოხტა, იზეიმა და... კამერის ჩართვა სულ გადაავიწყდა.

„ჩემი მხრიდან ეს პროფესიონალის საქციელი არ იყო“ — ამბობს ვორტმანი.

მათ, ვინც იმედოვნებს, რომ ეკრანზე შიშველი ფეხბურთელები გამოჩნდებიან, შეუძლიათ ფილმი არ ნახონ. რეჟისორმა, ერთ-ორ უკანალს თუ არ ჩავთვლით, გასახდელის სცენებიდან 108 წუთში ძირითადად ისინი შეიტანა, სადაც მოთამაშეებს პირსახოცები აქვთ შემოხვეული, თუმცა ახლავე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ესეც დავისა და საყვედურის საბაბად იქცევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფილმი გერმანული პატრიოტიზმით იმდენად ჭარბად არის გაჟღენთილი, რომ შესაძლოა, უცხოელი მაყურებლის გარკვეული ნაწილისთვის უინტერესოც იყოს, თუმცა მეორე მხრივ, მასში შეტანილია მეტად საინტერესო კულუარული ამბები, ნათლად არის აღბეჭდილი, როგორ ემზადება გუნდი მუნდიალისთვის, როგორ უძლიერდება საკუთარი თავის რწმენა ყოველი მომდევნო მატჩის შემდეგ და როგორ განიცდიან ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, იტალიის ნაკრებთან წაგებას.

„იტალიასთან დამარცხების შემდეგ გასახდელში ბევრი ტიროდა — იგონებს ვორტმანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ფილმში ფეხბურთელების გადაღება გაცილებით იოლია, ვიდრე მსახიობების — და ერთსაც არ უთხოვია კამერა გამომერთო ან მიმეტრიალებინა. მე თუ მკითხავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელები დიდი ხალხია“.

ფილმში შესულია ძალიან საინტერესო სცენა თუ როგორ ელოდება მატჩის შემდეგ, დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონის“ გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში, იტალიელი მცველი მარკო მატერაცი გერმანელთა კაპიტან მიხაელ ბალაკს მაისურების გასაცვლელად. ამ ეპიზოდში მატერაცი, დათრგუნულ ბალაკს დაწყნარების და გამხნევების მიზნით ეხვევა და ლოყაზე კოცნის.

საინტერესო კადრებია გადაღებული კანცლერ ანგელა მერკელისა და ფეხბურთელების შეხვედრაზე. ჯერ ერთი, მერკელი მოთამაშეებს თვალშისაცემი მგზნებარებით არომეკს ხელს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, სებასტიან შვაინშტაიგერი, კამერის წინ ჩერდება და გასაგონი ჩურჩულით კითხულობს: „ეი, საშეოსავლო გადასახადს ხომ შეამცირებთ?“ მერკელს ამაზე რეაქცია არ აქვს, თუმცა შემდეგ მასთან მიდის იენს ლემანი და მისგან სრულიად მოულოდნელი დამორცხვებით ეკითხება, ხომ არ აპირებს ქალბატონი მერკელი გადასახადების შემცირებას, რაც ინგლისიდან გერმანიაში დაბრუნებაში დაეხმარებოდა.

სახალისო ეპიზოდია, როდესაც მიროსლავ კლოზე სალონში შედის, პარიკმახერი ქალი კი მას ვერ ცნობს. კლოზე ამაზე აშკარად ღიზიანდება. შემდეგ ირკვევა, რომ დალაქმა ბრემენელი ფეხბურთელებიდან არავინ იცის, ცოტა ხანში კი ის ცეცხლზე ნავთს ამატებს და ამბობს, რომ მიუნხენის „ბაიერნის“ მოთამაშეთა ჩამოთვლა შეუძლია.

ჯერალდ ასამოა საცურაო აუზში რომელიღაც თანაგუნდელს ისეთი სისწრაფით აცხრება თავს და აყვინთინებს, რომ ამ თანაგუნდელის ამოცნობა შეუძლებელია.

სახალისოა აგრეთვე, იურგენ კლინსმანის მხიარული, მისგან უცხოთათვის გასაკვირი საუბრები პინგ-პონგის თამაშისას, როდესაც იოახიმ ლიოვი დაუნდობლად ამარცხებს.

და არის ერთი ნამდვილი კონფლიქტიც: მიხაელ ბალაკი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მესამე ადგილზე გასვლის გამო ბერლინში სახალხო ზეიმის მოწყობას. ფეხბურთელები, რომელთაგან ბევრი არდადეგებზე მიიჩქარის და ერთი სული აქვს როდის გაუშვებენ, კენჭისყრას აწყობენ და კაპიტნის რისხვას მხოლოდ ასე სძლევენ.

პაპუნა კედია

არ გადართო ფეხბურთზე!

ეტოომ ძარღვებში ტელევიზორი შეუშვა

„ბარსელონას“ ექიმმა რამინ კუგატმა სამუელ ეტოოს ტელევიზორში ფეხბურთის ყურება აუკრძალა. საქმე ის გახლავთ, რომ კამერუნელი მუხლზე ოპერაციის შემდეგ ბურთს და მოედანს კარგა ხნით უნდა დაემშვიდობოს და ბარსელონელი მკურნალიც შიშობს, სამუელს ტელევიზიით თანაგუნდელების თამაშის ცქერამ ფეხბურთის საღერღელი არ აუშალოს ან კიდევ მოულოდნელი მოძრაობებისას ტრავმა არ გაურთულდეს. თუმცა აფრიკელი, ექიმთა მითითებებს კარგად არ ასრულებს — შაბათს ბილბაოში გამართულ თამაშს ეტოომ შინ, თავის ვეებერთელა ტელევიზორში უყურა და, კატალონიური „სპორტის“ თანახმად, გუდიონსენის გოლის შემდეგ ეს დაჭრილი ლომი მცირედით შემხტარა კიდეც... „ბარსას“ ქომაგთა დასამშვიდებლად ვიტყვით, რომ ეტოოს ტრავმა არ გართულებია, თუმცა ფეხბურთების დროს ტელევიზორის სხვა არხზე გადართვას ნამდვილად არ აპირებს — „ფეხბურთი ჩემს სისხლშია, ჩემს ძარღვებში და ამას საკუთარ თავს ვერაფრით ავუკრძალავ“ — განუცხადა ფორვარდმა „სპორტის“ კორესპონდენტს.

ტრავმის გამო ფეხბურთთან 5 თვით ჩამოცილებულ ეტოოს გარე სამყაროსთან საკონტაქტოდ მობილური ტელეფონიღა რჩება. აფრიკელმა ბილბაოში თავის თანაგუნდელებს დაურეკა და შემადგენლობის წინასწარ გაცნობა სთხოვა. ცოტა დააკლდა და, ალბათ, მწვრთნელ რაიკარდსაც დაუმესიჯებდა — „ატლეტიკთან“ სასტარტო თერთმეტის ამბავი მითხარიო. მოკლედ, იტანჯება კაცი უფეხბურთოდ... თავის მხრივ, სამუელს მეგობრები ურეკავენ და მალე გამოჯანმრთელებას უსურვებენ. დაურეკეს ძმაბიჭებმა, ალბერტ ლუკემ და კარლოს კამენმ, „ბაბუა“ ლუის არაგონესმა და არსენალელმა ტიერი ანრიმ. ტელეფონს არ სცილდებიან კამერუნის მთავრობის წარმომადგენლები და უბრალო გულშემატკივრები — ეტოო ხომ ეროვნული გმირია ამ ქვეყანაში. ურეკავენ მადრიდის „რეალიდანაც“. ადრე ეტოო „ბარსას“ მოსისხლე „რეალში“ თამაშობდა, თუმცა მეგობრები იქ მაინც შეინარჩუნა.

კამერუნში კი შფოთავენ. „ლომები“ შაბათს აფრიკის თასის შესარჩევში ეკვატორულ გვინეას, ტრავმირებული მთავარვარსკვლავის გარეშე ეთამაშებიან. კამერუნში ეტოოს ტრავმას ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნევენ.

ლადო ხომერიკი

რას გვერჩის ბებერი?

ლუის არაგონესის მიერ ესპანეთის ნაკრებიდან რაულის გარიცხვას ფერნანდო მორიენტესი გამოეხმაურა. რაულის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის, „ელ მოროს“ აზრით, ბებერი ლუისი არც ისე სწორად მოიქცა, ნაკრების ლეგენდის შვედეთთან მატჩში მონაწილეობა რომ უარყო. „ყველას თავისი აზრი გააჩნია, თუმცა რაული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მეგოლე და მრავლისმნახველი ვეტერანი გახლავთ... დავუშვათ, ახლა ადრინდელზე შედარებით ნაკლები გოლები გააქვს, მაგრამ რაულ გონსალეს ბლანკო ხომ წლების მანძილზე ეროვნული გუნდის კაპიტანი და ლიდერი იყო. ვფიქრობ, რომ მისი გამოცდილება ესპანეთს შვედეთთან მატჩში ძალიან გამოადგებოდა“ — განაცხადა ფერნანდო მორიენტესმა „მარკასთან“ საუბარში.

სენიორ არაგონესს გუნდში არც „ელ მორო“ მიუწვევია.

„ადრე ვფიქრობდი, რომ ნაკრებში ჩემი დაბრუნება კიდევ იყო შესაძლებელი. თუმცა ახლა ვრწმუნდები, ეროვნული გუნდის კარი მორიენტესისთვის ნელ-ნელა იკეტება... ჩემი დღევანდელი სათამაშო ფორმის მიუხედავად, მწვრთნელმა ნაკრებში არ მიმიწვია და ცხადია, სამომავლოდ „ფურია როხაში“ თამაშის იმედი აღარ უნდა მქონდეს. ასეთი ფორმის შენარჩუნება ძნელი საქმეა“ — თქვა დანაღვლიანებულმა ვალენსიელმა. ფერნანდო მართლაც შესანიშნავ ფორმაშია. „ღამურათა“ ფორვარდმა უკვე სამი გაიტანა და ამით თავის კარიერაში სეზონის დასაწყისისთვის საგოლე რეკორდი დაამყარა. ფერნანდო მორიენტესს თავისი დიდების პერიოდშიც კი პრიმერადივიზიონი ასე გოლისცვენით არასოდეს დაუწყია. გავიხსენოთ, რომ „ელ მორომ“ 1998-99 წლების სეზონში მეტოქეთა კარის აწიოკება მეთვრამეტე ტურიდან დაიწყო. არადა, მაშინ ფერნანდომ თავის კარიერაში ყველაზე მეტი, 19 გოლი გაიტანა...

მორიენტესს „ვალენსიაში“ მისვლამდე სამ ესპანურ გუნდში, „ალბასეტეში“, „სარაგოსაში“, „რეალსა“ და ინგლისურ „ლივერპულში“ უთამაშია. „ღამურების“ მოიერიშე მეგოლეობით ევროსარბიელზეც ლაღობს, „ელ მორომ“ „ზალცბურგს“ ერთი, ხოლო ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ სამი გოლი გაუტანა.

ლადო ხოფერიძე

ჰარი რედნაპი

ჰარი რედნაპი ძალიან გულნატკენია. მისმა „პორტსმუთმა“ 1:2 წააგო „ტოტენჰემთან“, თამაშის ერთი გოლი კი იმ პენალტით გავიდა, რომელიც დიდიე ზოკორას სიმულაციას მოჰყვა. სპილოს ძვლის ნაპირელი თავდამსხმელი მხატვრული ყვინთვის ხერხის მოშველიებით ისე გაიშხლართა საჯარიმოში, თითქოს ზღვისპირელ პედრო მენდეშს მოეცელოს.

მხატვრული ყვინთვის ოსტატი

მსაჯმა კრის ფოიმ პენალტი დანიშნა, რომელიც ჯერმენ დეფომ გაიტანა, მსაჯმა კი შესვენებაზეც მოუბოდიშა რედნაპს, მოვტყუვდიო.

„მეოთხე მსაჯი იქ არ იყო? იდგა და მოედნის კიდეზე მონიტორს უცქერდა. — თქვა რედნაპმა — მას შეეძლო მთავარი მსაჯისთვის გადაეცა, რომ ბიჭმა დაყვინთა. მსაჯებს დახმარება სჭირდებათ, ეს აშკარაა. ერთი სიმულაცია თამაშის ბედს წყვეტს ხოლმე“.

თვით ტოტენჰემის ბოსმა, მარტინ იოლმაც აღიარა: „მენდეში ზოკორას არ შეხებია. მე მგონია, რომ ჩემს ფეხბურთელს წონასწორობა ჰქონდა დაკარგული და იმიტომ წაიქცა. ამ ბიჭს ვიცნობ და მისი მუტერა. ჰარი რედნაპის მესმის. ასეთი რამე ამ ქვეყანაში მიუღებელია“.

ირაკლი გამყრელიძე

ისევ ბექმის გარეშე

სტივ მაკლარენმა კვლავ არ გამოიძახა ნაკრებში დეივიდ ბექემი.

იმის მიუხედავად, რომ მარჯვენაფლანგელი აარონ ლენონი დაშავებულია, მენეჯერმა ბექჰის დაბრუნებას ჯერმენ პენანტის, ან შონ რაიტ-ფილიპსის მიწვევა არჩია.

„კი, ასეა. შონს შეუძლია თამაში. პენანტიც ნაკრების კარს უკაკუნებს. ლენონს და იმ ბიჭებს მე ვაკვირდები, რადგან მომავლის გუნდზე ვფიქრობ“ — თქვა მაკლარენმა, რომელმაც ფორმაში არყოფნის მიუხედავად, მაინც გამოიძახა უეინ რუნი. „უეინი ფორმაში ვერ არის, მაგრამ ის მსოფლიო კაცია. ფეხბურთელია და უცებ დაიქოქება. მე მას ყოველთვის გამოვიძახებ, თუკი ტრავმა არ ექნება“.

ირაკლი გამყრელიძე

სლომკას ქარი ვერ წაიღებს



მირკო სლომკა

„შალკეს“ გენერალურმა მენეჯერმა ანდრეას მიულერმა განაცხადა, რომ მწვრთნელი მირკო სლომკა გულშემატკივართა პროტესტის მიუხედავად თანამდებობაზე დარჩება.

ქომაგთა რისხვა „ლევერკუზენთან“ „შალკეს“ 1:3 მარცხმა გამოიწვია, თუმცა ეს ცალკე აღებული მოვლენა არ ყოფილა, ამ წაგებით რურის ოლქის გუნდმა წარუმატებელი კვირა ჩაამთავრა — ხუთშაბათს ლევან კობიაშვილის გუნდი ფრანგულმა „ნანსიმ“ უეფას თასიდან გამოაგდო.

„მწვრთნელის განთავისუფლებისკენ ძალიან ბევრი ადამიანი მოგვიწოდებს, მაგრამ იმ უზარმაზარ შრომას, რომელიც სლომკასთან ერთად გავწიეთ, ჩვენ ასე იოლად ვერ გავატანთ ქარს. ორი კვირის შემდეგ ჰამბურგში ვთამაშობთ და ჩვენი მწვრთნელიც იქ იქნება“ — განაცხადა მიულერმა.

ამასობაში კი „შალკეს“ თავდამსხმელმა ჰალილ ალტინტოპმა განაცხადა, რომ ქომაგებს განრისხების ყველა მიზეზი აქვთ.

„მე მათი მესმის — თქვა ალტინტოპმა — მათ მობეზრდათ ჩვენი უსახური ფეხბურთი, თუმცა ისიც უნდა გაიგონ, რომ მოედანზე წაგების სურვილით არ გავდივართ. ის, რომ საუკეთესო ფორმისგან შორს ვართ, თავად გვტკენს გულს. ბუნდესლიგის სასალათისთვის ბრძოლა ყველაზე მეტად თავად ჩვენ გვინდა, მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს იოლი საქმეა, ცდება“.

პაპუნა კედია

კალათბურთელი ფეხბურთელი

სადიგოვმა კარი კალათში გაცვალა

აზერბაიჯანულ ფეხბუთს გამოაკლდა ნიჭიერი კაცი, 24 წლის რაშად სადიგოვი, რომელიც... აზერბაიჯანულ კალათბურთს შეემატა.

არა, არ ვხუმრობთ, აზერბაიჯანის ფეხბურთელთა ნაკრებს კაპიტანი აღარ ჰყავს, ის კალათბურთზე გადაერთო. ამის მიზეზი მხოლოდ კალათბურთის სიყვარული როდი გახლდათ. საქმე ის არის, რომ სადიგოვი თურქულ „ქაისერსფორში“ თამაშობდა, მაგრამ ამ კლუბის ხელმძღვანელობასთან გაუგებრობა მოუვიდა და სამშობლოში დაბრუნდა, სადაც „ნეფტჩიში“ სურდა მოწყობა, მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაკეტილი დაუხვდა. სხვა სიტყვებით, 20 აგვისტო უკვე გადავლილი იყო.

საინტერესოა, რომ მთელ ევროპაში სატრანსფერო სეზონი 31 აგვისტოს იხურება და ვინ იცის, აზერბაიჯანული ფეხბურთის შეფებს შეეძლოთ რაიმე გამოსავალი მოეძებნათ, მით უფრო, რომ საქმე მათი ნაკრების კაპიტანს ეხებოდა, მაგრამ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მათ სხვაგვარად განსაჯეს და... დღეს კალათბურთის გუნდ ნტდ-ს გამოუჩნდა მოთამაშე, რომელმაც პირველ მატჩში, „ხაზარის“ წინააღმდეგ 14 ქულა მოიპოვა.

სხვათა შორის, „ფეხბურთის შეფებმა“ გზაზე დააწიეს, თუ გინდა „ნეფთჩი2“-ში ითამაშეო, მაგრამ სადიგოვმა ყური არ დაუგდო.

პაპუნა კედია

არგენტინა

აპერტურა
IX ტური

კოლონი — ოლდ ბოისი 1:1; ბანფილდი — ნუევა ჩიკაგო 1:1; ხიმნასია (ხ) — რასინგი 0:3; სან ლორენსო — ესტუდიანტესი 0:1; ინდეპენდიენტე — ხიმნასია (ლ) 3:0; კილმესი — არგ. ხუნიორსი 2:2; როსარიო — გოდოი კრუზი 1:1; ბოკა ხუნიორსი — ველესი 3:2; ბელგრანო — რივერ პლეიტი 1:1; არსენალი — ლანუსი 1:1

ჩილე

კლაუსურა
XII ტური

უნივერსიდად დე ჩილე — რეინჯერსი 4:0; კობრელოა — უონდერერსი 3:1; ევერტონი — აუდაქს იტალიანო 4:3; კობრესალი — ლა სერენა 1:1; უაჩიპატო — კოლო კოლო 1:2; კოკიმბო — პუერტო მონტი 0:1; ო ჰიგინსი — ანტოფაგასტა 3:1; უნიონ ესპანიოლა — უნივერსიდად კათოლიკა 1:1; პალესტინო — კონსეპსიონი 2:2

მექსიკა

აპერტურა. XI ტური

ატლანტე — ხაგუარესი 0; კრუზ ასული — სან ლუისი 0; გალოს ბლანკოსი — უანმი 1; მონტერეი — მორელია 2; გვადალახარა — ამერიკა 2; პაჩუკა — ტიგრესი 5; ნეკაქსა — ტეკოსი 2; ტოლუკა — ვერაკრუსი 2; სანტოსი — ატლასი 1

ბრაზილია

სერია A. გადადებული მატჩები

ატლ. პარანენსე 0:0 სან პაულუ
ინტერნასიონალი 3:2 პარანა

მამა ნახე, პაპა ნახე, შვილიშვილი გამონახე

მიქაელ ლაუდრუპის სახელი დანიური ფეხბურთის ბრწყინვალე პერიოდს უკავშირდება. მან ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ყველაზე მეტი, 104 მატჩი ითამაშა და წითელი ბარათი არასდროს მიუღია. ლაუდრუპი 2003 წელს უეფას 50 წლის იუბილეზე „ოქროს ფეხბურთელის" ტიტულით დააჯილდოვეს. დიდმა დანიელმა თავი დიდევროპულ ლიგებში შესანიშნავი თამაშით გამოიჩინა. თავიდან მიქაელი „იუვენტუსში" გახლდათ, შემდეგ „ლაციოში" და მერე კატალონიურ „ბარსელონაში", სადაც 1992 წელს ჩემპიონთა თასი მოიპოვა. „ბარსელონაში" წარმატების შემდეგ დანიელი „რეალში" გადავიდა და 1999-ში ესპანური პრიმერას ბოლო 25 წლის საუკეთესო ლეგიონერად დაასახელეს. იყო მწვრთნელად იაპონურ „კობეში", ამსტერდამის „აიაქსში" და დანიურ „ბრონდბიუში". ამ უკანასკნელთან ლაუდრუპმა კონტრაქტი მაისში გაწყვიტა, თუმც, როგორც UEFA.COM-თან ინტერვიუში განაცხადა, საფეხბურთო შიმშილი ჯერ არ მოუკლავს

ბრაიან და მიქაელ ლაუდრუპები

— საამსეზონო ჩემპიონთა ლიგის შესახებ რას გვეტყვით?

— ყოველთვის საინტერესოა, რა ხდება ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ — მოთამაშეთა ნაწილი გადაღლილია, ზოგს ტრავმები აწუხებს. კლუბები, რომელთაც მდიდრული, ძლიერი ფეხბურთელებით დახუნძლული შემადგენლობები ჰყავთ, უპირატესობას ფლობენ. ასეთები არიან „ჩელსი", „ბარსელონა" და „მილანი", რომლებიც მადრიდის „რეალზე" ერთი საფეხურით მაღლა დგანან. ამ გუნდებს დიდი შესაძლებლობები აქვთ. თუმცა სენსაციებს არ გამოვრიცხავ. „პორტუს" და „მონაკოს" ფინალში გასვლა გაიხსენეთ... ლიგაში წინასწარ ვერაფერს განსაზღვრავ.

— თანამედროვე მადრიდის „რეალის" შესახებ რას ფიქრობთ?

— გუნდი ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს და ფეხბურთელების, კანავაროს, ემერსონის, დიარას და ვან ნისტელროის შემატებით ძალიან გაძლიერდა. ჩემი აზრით, ფაბიოსთან ერთად „რეალმა" კარგი ფეხბურთი უნდა შემოგვთავაზოს. ვეღოდები, რომ კაპელოს „რეალი" სოლიდური გუნდი იქნება, დაცვის და ნახევარდაცვის კარგი ხაზით. მე, როგორც ბევრ სხვას, მაინტერესებს, თავდასხმაში ისინი როგორ იმოქმედებენ, მადრიდელებს ხომ მოიერიშეებად რონალდო, ვან ნისტელროი, რაული და რობინიო ჰყავთ. რა თქმა უნდა, ზინედინ ზიდანი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში შედის და მისი წასვლა „რეალს" აუცილებლად დაეტყობა. თუმცა ეს ახალი გუნდია, რომელიც ბოლო სამწლიანი უიღბლობის შემდეგ აშკარად შეიცვალა.

— თქვენი კიდევ ერთი ყოფილი გუნდის, „ბარსელონას" შესახებ რას გვეტყვით?

— მწვერვალის დაპყრობა ძნელია, მაგრამ დიდ სიმაღლეზე შეურყეველად გაჩერება უძნელესი. „ბარსელონამ" ბოლო წლებში ესპანეთში და ევროპაში ყველა დაჩრდილა და შინაურ თუ გარეულ გუნდებს, ყველას მისი დამარცხება უნდა. კატალონიელებს ბრწყინვალე თავდასხმა ჰყავთ, თუმცა ასევე შეუძლიათ, კარგი ნახევარდაცვა-დაცვითაც იამაყონ. მოიერიშეთა გარდა „კამპ ნოუზე" ხომ კარლეს პუიოლი და რაფაელ მარკესი ბურთაობენ. როცა „ბარსა" ბურთს კარგავს, რაიკარდის ყველა შეგირდი ერთსულოვნად იხევს დაცვისკენ, რათა კარი საფრთხისგან გადაარჩინონ. აი, „ბარსელონას" ძლიერების საიდუმლოც — ისინი ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მეტოქის წინაშე დაცვის ყრუ კედლის აღმართვაც შეუძლიათ.

— ლიგაზე გუნდი დანიასაც ჰყავს — „კოპენჰაგენმა" საკვალიფიკაციოდან „აიაქსი" გამოთიშა და ჯგუფურ ეტაპზე გავიდა...

— ეს შესანიშნავია. დანიაში არავის სჯეროდა, რომ პირველი წაგებული შეხვედრის შემდეგ „კოპენჰაგენი" „აიაქსს" აჯობებდა, თუმცა საპასუხო მატჩი დიდებულად ჩაატარეს და ლიგაში მოხვდნენ. „კოპენჰაგენს" ბედიც დაეხმარა, თუმცა ფეხბურთში ეს აუცილებელია. ბოლოს დანიური კლუბი, „ბრონდბი", ლიგაში 1998 წელს გახლდათ, „ალბერტ გენის" მიღწევა დანიურ საკლუბო ფეხბურთს მნიშვნელოვნად წინ წასწევს. ნორვეგიელთა სალიგო ფავორიტი „რუსენბორგია", შვედეთსაც ჰყავს კარგი გუნდები, დანია კი რვა წელია, ლიგაზე ვერ ხვდებოდა...

— საამსეზონო თქვენი გეგმების შესახებაც გვითხარით...

— წლეულს სამწვრთნელო საქმიანობით არ ვარ დაკავებული და მატჩებს თვალყურს უფრო თავისუფლად ვადევნებ. 7 წელიწადი ესპანეთში ვთამაშობდი და ესპანური ფეხბურთი ძალიან მომწონს. იქაური პრემერას მნიშვნელოვანი მატჩების ყურებას და ლიგაზე ესპანელთა გულშემატკივრობას ვაპირებ, თუმცა ინგლისელთა მიმართაც საკმაოდ სიმპათიურად ვარ განწყობილი.

— ევრო 2008-ის შესარჩევში დანიის ნაკრების შანსებს როგორ შეაფასებდით?

— ძნელ ჯგუფში მოვხვდით. ჩვენთან ესპანეთი თამაშობს, რომლის სიძლიერეც ყველა დანიელისთვის ცნობილია — ისინი ჩვენთვის ყოველთვის უხერხული მეტოქეები იყვნენ. შვედეთთანაც დიდი ჯახი გველოდება. ესპანეთი ჯგუფის ფავორიტია, შვედეთი და დანია კი ალბათ მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ.

— მამათქვენი, ფინი და თქვენი ძმაც, ბრაიანი, დანიის ეროვნულ გუნდში თამაშობდნენ, თუმცა, როგორც ვიცით, ლაუდრუპების ოჯახის საფეხბურთო ტრადიციები ამით არ მთავრდება...

— ორი შვილი მყავს. აქედან უფროსი, მადსი, ქვეყნის 18-წლამდელთა ნაკრებში თამაშობს, უმცროსი ანდრეასი კი — 16-წლამდელთაში. მადსი თავისი გუნდის კაპიტანია. ამით ძალიან ვამაყობ. ვერთობი, როცა მათ თამაშს ვუცქერ. ცხადია, ლაუდრუპების გვარი ბიჭებისთვის დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს, მაგრამ დღემდე თავი არ შეურცხვენიათ და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გააგრძელებენ.

ვანმა და ვანმა ვანს უგანეს

მარკ ვან ბომელი

მარკ ვან ბომელი და რუუდ ვან ნისტელროი ჰოლანდიის ნაკრებში თამაშს აღარ აპირებენ. ორივე მობურთალის განცხადებით, ეროვნული გუნდიდან მანამდე დაიჭერენ თავს შორს, ვიდრე მწვრთნელად მარკო ვან ბასტენი იქნება.

ექსბარსელონელი და ამჟამად „ბაიერნის" ნახევარმცველი ვან ბომელი მწვრთნელმა ევრო-2008-ის შესარჩევებისთვის, ბულგარეთთან (7 ოქტომბერი) და ალბანეთთან (11 ოქტომბერი) საომრად მიიწვია. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ კი გამოაცხადა, რომ ფეხბურთელმა ნაკრებში გამოსვლაზე თავად თქვა უარი.

ვან ბომელმა 2006 წლის მუნდიალზე ითამაშა. მიუხედავად ამისა, მარკო ვან ბასტენმა იგი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომ სამ მატჩში არ მიიწვია. ალბათ, ბაიერნელის გაცხარების მიზეზიც ეს გახლავთ.

რუუდ ვან ნისტელროიმ კი ნაკრებზე უარის თქმა ვან ბასტენთან უთანხმოებით ახსნა. „მწვრთნელი ვერ მიგებს. ვთვლი, რომ მასთან შეთანხმების მისაღწევად ყველაფერი გავაკეთე, ვან ბასტენი კი ჩემთვის მაინც უცხო ადამიანად რჩება" — აღნიშნა „რეალის" ფორვარდმა. ვან ნისტელროი ნაკრებში ტრავმირებული აიაქსელის, კლაას იან ჰუნტელაარის მაგივრად უნდა ყოფილიყო. ახლა სხვისი მოძებნა მოუწევთ.

შესვენებისას მოხსნილი მსოფლიოს ჩემპიონი

ნესტორ კლაუსენი

შვეიცარიული ლიგის ლიდერ „სიონს" მწვრთნელი კვირას, მეორე დივიზიონის „შო დე ფონთან" სათასო შეხვედრის შუაში მოუხსნეს... „სიონი" აგებდა 0:1-ს, საბოლოოდ კი სანელ კულიჩის ჰეთ-თრიქის წყალობით 3:1 მოიგო.

გასაკვირია? შესაძლოა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ამბავი კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია. მოხსნილია 44 წლის არგენტინელი, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის წევრი ნესტორ კლაუსენი, რომელიც 80-იან წლებში არგენტინის ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ტრავმებმა მას გაბრწყინების საშუალება არ მისცა.

კლაუსენმა თქვა, რომ მოხსნის მიზეზებზე საუბარს არ აპირებს. საერთოდ, ცნობილია, რომ პრეზიდენტ კრისტიან კონსტანტინის ხელში „სიონი" მწვრთნელებს მალიმალ იცვლის. იგივე კლაუსენი თანამდებობაზე ზაფხულში, კრისტოფ მულინის შემცვლელად მივიდა და როგორც ხედავთ უკვე განთავისუფლებულია, თავად კონსტანტინი, მულინის თანამდებობიდან წასვლას ასე იხსენებდა:

„მე მისი და ფეხბურთელების ერთობლივი გადაწყვეტილების ამბავი გვიან შევიტყვე. ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და მას მერე მულინზე არაფერი მსმენია".

პაპუნა კედია

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. კონფერენსი						
		3 ოქტომბერი						
22:45	26	მორეკომბი-რაშდენი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
22:45	27	ოქსფორდი-საუთპორტი	1.33	4.20	8.50	1.01	1.15	2.81
22:45	28	ჰალიფაქსი-კიდერმინსტერი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
22:45	29	ნორთვიჩი-იორკი	2.60	3.30	2.40	1.45	1.24	1.38
22:45	30	სტ.ალბანსი-ფორესტ გრინი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
22:45	31	სტ.რეინჯერსი-დაგ ენდ რედი	2.75	3.20	2.30	1.47	1.25	1.33
22:45	32	სტივენეიჯი-უოკინგი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
22:45	34	ალდერშოტი-ტემუორთი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
22:45	35	ბარტონი-ქროული	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
22:45	36	კემბრიჯი-ალტრინჰემი	2.00	3.20	3.45	1.23	1.26	1.66
22:45	37	გრეისი-ექსეტერი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
		4 ოქტომბერი						
22:45	33	ვეიმუოი-გრეივსენდი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		3 ოქტომბერი						
21:45	52	სტ.გალენი-შაფჰაუსენი	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
21:45	53	თუნი-აარაუ	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
		4 ოქტომბერი						
21:45	54	ბახელი-იანგ ბოისი	1.60	3.30	5.50	1.07	1.23	2.06
21:45	55	სიონი-გრასჰოპერი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
21:45	56	ციურიხი-ლუცერნი	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
		სლოვაკეთი						
		3 ოქტომბერი						
16:30	134	ნიტრა-კოშიცე	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
19:30	136	ტრნავა-ჟილინა	2.90	3.00	2.25	1.47	1.26	1.28
		4 ოქტომბერი						
16:30	133	პეტრუალკა-დუბნიცა	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
16:30	135	ინტერი-ბ.ბისტრიცა	2.55	2.90	2.60	1.35	1.28	1.37
19:30	137	სინეკი-სლოვანი	2.30	3.00	2.85	1.30	1.27	1.46
19:30	138	ტრენჩინი-რუუომბეროკი	2.95	3.00	2.25	1.48	1.27	1.28
		დანია. სუპერლიგა						
		4 ოქტომბერი						
20:30	139	მიდტიულანდი-ნორდსიელანდი	2.15	3.30	3.10	1.30	1.26	1.59
		ბრაზილია						
		4 ოქტომბერი						
23:45	199	ქუვენტუდი-ატლეტიკო პრ	1.80	3.40	3.90	1.17	1.23	1.81
23:45	200	პარანა-პონტე პრეტა	1.40	3.80	7.50	1.02	1.17	2.52
23:45	201	ფორტალეზა-ფიგეირენსე	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
23:45	202	ფლამენგო-ფლუმინენსე	2.35	3.30	2.65	1.37	1.24	1.46
23:45	203	გრემიო-პალმეირასი	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
23:45	204	სან კაეტანო-ვოიასი	2.30	3.10	2.80	1.32	1.26	1.47
23:45	205	სან პაულუ-ვასკუ და გამა	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
		5 ოქტომბერი						
23:45	206	ბოტაფოგო-სანტა კრუსი	1.55	3.50	5.30	1.07	1.19	2.10
23:45	207	კრუზეირო-ინტერნასიონალი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
23:45	208	კორინთიანსი-სანტოსი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
		ამხანაგური მატჩები						
		4 ოქტომბერი						
14:30	241	იაპონია-განა	1.95	3.10	3.70	1.19	1.27	1.68
		6 ოქტომბერი						
20:00	242	ლიხტენშტაინი-ავსტრია	11.00	4.70	1.20	3.29	1.08	1.00
		7 ოქტომბერი						
23:00	243	კუვეიტი-ბრაზილია	13.00	5.50	1.16	3.86	1.06	1.00
		8 ოქტომბერი						
13:30	244	ავსტრალია-პარაგვაი	2.10	3.00	3.25	1.23	1.27	1.55
		ჰოკეი. შვედეთი						
		3 ოქტომბერი						
21:00	339	ფრიოლუნდა-ტიმრე	2.00	4.30	2.30	1.36	1.06	1.49
21:00	340	ლულეო-ბრიუნესი	1.80	4.30	2.60	1.26	1.06	1.62
		ჰოკეი. ფინეთი						
		3 ოქტომბერი						
19:30	356	იოკერიტი-ჰელსინკი	1.80	4.20	2.80	1.25	1.09	1.67
19:30	357	ილვესი-ტურკუ	1.80	4.20	2.80	1.25	1.09	1.67
		4 ოქტომბერი						
19:30	358	ტაპარა-კალპა	1.35	4.80	5.00	1.05	1.06	2.44
		5 ოქტომბერი						
19:30	359	ესეტი-სეიპა	1.75	4.20	3.00	1.23	1.10	1.75
19:30	364	იუვესკიულე-პელიკანსი	2.05	4.10	2.40	1.36	1.10	1.51
		ჰოკეი. გერმანია						
		3 ოქტომბერი						
16:30	397	აისბარენი-ინგოლშტადი	2.00	4.10	2.30	1.34	1.06	1.47
20:30	398	იხერლონი-აუგსბურგი	1.80	4.20	2.80	1.25	1.09	1.67
20:30	399	ფრანკფურტი-დიუსელდორფი	2.15	4.10	2.25	1.41	1.09	1.45
21:30	400	ნიურნბერგი-ჰანოვერი	2.00	4.00	2.50	1.33	1.11	1.53
21:30	401	დუისბურგი-კიოლნი	2.50	4.10	1.90	1.55	1.07	1.29
21:30	402	სტრაუბინგი-ჰამბურგი	2.50	4.10	2.00	1.55	1.11	1.34
21:30	403	მანჰაიმი-კრეფელდი	1.45	4.50	4.00	1.09	1.06	2.11
		ჰოკეი. შვეიცარია						
		3 ოქტომბერი						
21:45	416	ბახელი-რაპერსვილი	2.10	4.10	2.25	1.38	1.08	1.45
		4 ოქტომბერი						
21:45	417	ციურიხი-ცუგი	1.75	4.40	2.80	1.25	1.07	1.71
		ჰოკეი. რუსეთი						
		3 ოქტომბერი						
19:00	435	დინამო-მედ	1.65	4.20	3.30	1.18	1.10	1.84
17:30	436	ლადა-ს.იულაევი	2.05	4.00	2.30	1.35	1.08	1.46
18:30	437	ლოკომოტივი-ვიტიაზი	1.45	4.20	4.60	1.07	1.10	2.19
		ჩოგბურთი.კაცები მეცი						
		3 ოქტომბერი						
12:00	523	ვროსჯანი-ფ მაიერი	1.45					2.30
12:00	524	მალისი-კლემანი	1.50					2.20
12:00	525	მატი-სანტორო	1.80					1.80
12:00	526	საფინი-იუნი	1.60					2.00
12:00	527	მელსერი-მონტანესი	1.25					3.20
		ეს 2008 შესარჩევი მატჩები						
		7 ოქტომბერი						
22:00	219	ბულგარეთი-პოლანდია	5.00	3.40	1.65	2.02	1.24	1.11
22:15	220	ხორვატია-ანდორა	1.01	15.00	30.00	1.00	1.00	10.00
20:30	221	კვიპროსი-ირლანდია	6.50	4.00	1.40	2.47	1.15	1.03
19:15	222	ჩეხეთი-სან მარინო	1.01	15.00	30.00	1.00	1.00	10.00
22:30	223	საბერძნეთი-ნორვეგია	1.90	3.10	4.00	1.17	1.28	1.74
21:15	224	უნგრეთი-თურქეთი	3.50	3.20	2.00	1.67	1.27	1.23
22:50	225	იტალია-უკრაინა	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
20:00	226	მოლდოვა-ბოსნია	2.85	3.00	2.35	1.46	1.28	1.31
23:45	227	პორტუგალია-ასერბაიჯანი	1.03	9.00	30.00	1.00	1.00	6.92
21:15	228	რუმინეთი-ბელარუსი	1.40	4.00	8.00	1.03	1.19	2.66
19:00	229	რუსეთი-ისრაელი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
22:15	230	სერბეთი-ბელგია	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
22:45	231	სლოვენია-ლუქსემბურგი	1.05	8.50	28.00	1.00	1.01	6.52
18:00	232	უელსი-სლოვაკეთი	2.35	3.10	2.90	1.33	1.29	1.49
19:00	233	ყაზახეთი-პოლონეთი	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
18:00	234	ფარერები-ლიტვა	8.00	4.20	1.35	2.75	1.15	1.02
20:00	235	სომხეთი-ფინეთი	5.90	3.70	1.55	2.27	1.22	1.09
20:00	236	ინგლისი-მაკედონია	1.08	8.00	22.00	1.00	1.02	5.86
20:00	237	შოტლანდია-საფრანგეთი	5.20	3.40	1.65	2.05	1.25	1.11
22:00	238	შვედეთი-ესპანეთი	2.75	3.10	2.45	1.45	1.29	1.36
22:00	239	დანია-ჩრდ.ირლანდია	1.20	5.50	13.00	1.00	1.09	3.86
22:00	240	ლატვია-ისლანდია	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
		ეს 2007 პლეი ოფი (21)						
		6 ოქტომბერი						
19:30	248	ჩეხეთი(21)-ბოსნია(21)	1.40	3.80	7.50	1.02	1.17	2.52
23:00	249	ინგლისი(21)-გერმანია(21)	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
23:00	251	იტალია(21)-ესპანეთი(21)	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
18:00	252	რუსეთი(21)-პორტუგალია(21)	2.60	3.10	2.55	1.41	1.28	1.39
17:00	253	სერბეთი(21)-შვედეთი(21)	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
		7 ოქტომბერი						
21:00	247	ბელგია(21)-ბულგარეთი(21)	1.70	3.40	4.60	1.13	1.24	1.95
23:00	250	საფრანგეთი(21)-ისრაელი(21)	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

სუპერლიგის მენეჯერი ნიკა ხომასურიძე, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ლაშა ძიძავა და პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი

გასინჯეთ ახალი ბრენდი: ქართული სუპერლიგა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩვენი ბედოვლათი ჩემპიონატი გვარიანად მოფერიანდება და აქა-იქ ეი არა, ტურში მინიმუმ ერთი საყურებელი მატჩიც გამოერევა.

გუშინ „სპორტ-კაფეში" საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ საქართველოს ჩემპიონატის ახალი ვერსიის „სუპერლიგის" პრეზენტაცია მოაწყო.

ახალი პროექტით, 2006-07 წლების სეზონი სუპერლიგის ბრენდით ჩატარდება და, უწინდელისგან განსხვავებით, მასში ექვსი, ასე თუ ისე წელგამართული გუნდი ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ამ ექვსეულმა ფინანსური გარანტიები დროულად წარუდგინა სუპერლიგის შეფებს და ახალ სეზონს არხეინად ხვდებიან. ერთი სიტყვით, პირველ სუპერლიგაში ითამაშებენ: „ავიამშენი", „რუსთავი", თსუ, სტუ, „დინამო" და „მაკაბი".

როგორც ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ თქვა, სუპერლიგისა და ფედერაციის დიდი სურვილის მიუხედავად, რუსთაველთა გარდა, ახალშექმნილ ლიგაში რეგიონთა წარმომადგენლები უფულობის გამო ჯერჯერობით ვერ ითამაშებენ.

სუპერლიგა 14 ოქტომბერს დაიწყება და ტურის მატჩები სპორტის სასახლეში ჩატარდება. სპორტის სასახლეშივე იქნება სუპერლიგის პომპეზური პრეზენტაციაც. რეგულარული ჩემპიონატის მატჩები ოთხ წრედ ჩატარდება და პლეი ოფით დასრულდება. პლეი ოფში მოწინავე ოთხეული პირდაპირ ნახევარფინალებში დაწყვილდება. რეგულარულ ჩემპიონატსა და პლეი ოფს შორის „ყველა ვარსკვლავის" შოუ-მატჩი გაიმართება.

ყოველ შაბათს სპორტის სასახლეში ჩატარდება სუპერლიგის ტური და ცენტრალური მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია მოეწყობა საზოგადოებრივი არხით. რაც მთავარია, ყოველი მატჩი შოუს ელემენტებით იქნება გაჯერებული და ქომაგს მოსაწყენად არ ეცლება. ამასთან, ამუშავდება სუპერლიგის ვებ-გვერდი, რომელიც ყოველკვირეულად განახლდება და იქ გაეცნობით ამომწურავ ინფორმაციას. სუპერლიგის გენერალური სპონსორი კომპანია „მაგთიკომი" იქნება.

ბაჩო სვანიძე

ნაცვლიშვილი ოროსანია

ქართველის ორმა ქულამ დიჟონს მეორე გამარჯვება მოუტანა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

საფრანგეთის ჩემპიონატში გუშინ მეორე ტური გაიმართა, რომელიც წარმატებული გამოდგა საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებისთვის. ისევ იმარჯვა ვახტანგ ნაცლიშვილის „დიჟონმა", ხოლო გოდონ ჰერბერტის „პო ორტეზმა" სადებიუტო მარცხის შემდეგ გამარჯვება დააგემოვნა.

დიჟონელები პირველ ტურში დამარცხებულ „შოლეს" მასპინძლობდნენ და დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წუთებზე გატეხეს მეტოქე. მატჩის გმირი გახდა დიჟონელი ტიჯეი ლუქსი, რომელმაც 29 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, თუმც ჩვენთვის საინტერესო, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების კაპიტნის, ვახტანგ ნაცვლიშვილის გარჯაა.

პირველი მატჩის დარად, ნაცვლიშვილს არც ამჯერად უთამაშია ბევრი. ის არც შედეგიანი იყო, მაგრამ ვერ ვიტყვით, უმნიშვნელო როლი შეასრულა „დიჟონის" გამარჯვებაშიო. ვატომ მოედანზე 14 წუთი დაყო და ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ გამოიჩინა თავი ფარქვეშა ორთაბრძოლებში, თუმც სამიზნე სათანადოდ ვერ ჰქონდა მომართული. საბოლოოდ მის ანგარიშზე 2 ქულა დაგროვდა, მოხსნების ოდენობამ კი ხუთს უწია. აქედან 3 ბურთი ვატომ მეტოქის ფარზე მოიპოვა.

ნაცვლიშვილმა ხუთი სრული დაჭირვა 2 ქულის შეგროვებას. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო და, რომ იტყვიან, ოქროსი. დიჟონელები ნიადაგ კი იგებდნენ, მაგრამ მეტოქე სულ კუდზე ეჯდათ და მატჩის მიწურულს ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. 62:53 იგებდნენ მასპინძლები, „შოლემ" უკანასკნელი ძალა რომ მოიკრიბა და სირენამდე 3 წუთით ადრე "დიჟონს" 65:66 მიუახლოვდა.

სწორედ აქ იყოჩაღა ქართველმა ფორვარდმა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო, თავისიანები 3 ქულით დააწინაურა და მეტოქეს ნაჯაფარი წყალში ჩაუყარა. ამის მერე იყო, ტიჯეი ლუქსმა და მარიო ბენეტმა გამარჯვების ქულები რომ ჩაუგდეს წელში გატეხილ სტუმრებს.

აღსანიშნავია, რომ ნაცვლიშვილმა სხენებული 14 წუთის უმრავლესობა მოედანზე ბოლო მეოთხედში გაატარა, როცა თამაშის ბედი წყდებოდა. მწვრთნელმა ქართველი ჯერ პირველი მეოთხედის ბოლოს გაიყვანა მოედანზე და მეორეშიც ცოტა ათამაშა, თუმც გადამწყვეტი მომენტი რომ დადგა, ის თამამად ენდო ქართველს და „ვატომაც" გაამართლა.

„დიჟონმა" მეორე თამაში მოიგო და რამდენიმე წაუგებელ გუნდთან ერთად საფრანგეთის ლიგას ლიდერობს, რასაც ვერ ვიტყვით „პო ორტეზზე", გორდონ ჰერბერტის ახალ გუნდზე. პოელებმა პირველ ტურში „ლე ავრთან" მარცხის გამო შური „კლერმონზე" იძიეს და საკმაოდ იოლი გამარჯვება მოიპოვეს — 76:52.

ირაკლი პერტაია

დუდუ დადიანის მემორიალი

რუსთავში ნაკრებს აზოტი გაუშალეს

აზოტი 77:37 სსუ

20:12, 16:12, 14:4, 27:9

აზოტი: გამყრელიძე, ტულუში (9), ბოისა (7), ბეჟანიშვილი (11), უგრეხელიძე (6), ლიპარტელიანი (5), დიდია (9), ცეკვავა, მარკოიშვილი (12), მინაშვილი (12), გოგობერიშვილი (4), ჭოჭუა (2)

სსუ: გასიტაშვილი (2), ჯიქია (2), პატარაია (6), სორდია (2), აბულაძე (8), ურიდია (4), ჩლაიძე (2), ფაცაცია (2), კანკია (9)

თსუ 100:67 მაკაბი

17:11, 25:21, 20:20, 38:14

თსუ: არწივიძე (6), მ. ბერიშვილი (5), ლეჟავა (25), ფანჩულიძე (3), ვეფხვაძე (10), შანიძე (18), მათიაშვილი (6), სანიკიძე (6), ხეცურიანი (5), ბ. ბერიშვილი (3), ტყეშელაშვილი, იმნაძე (13)

მაკაბი: დოლიძე (2), გ. შერმადინი (20), კორძაძე, წოწელია (8), კორკოტაძე (6), ვაშაკიძე (16), ს. შერმადინი (15)

დინამო 79:65 სტუ

17:25, 14:10, 27:15, 21:15

დინამო: ბაბუნაშვილი (7), ეძგვერაძე (2), სეფისკვერაძე (2), ბერაია (18), კოხრეიძე (4), ბააკაშვილი (1), მაისურაძე (16), დევიძე (5), ტუხაშვილი, ბარბაქაძე (10)

სტუ: ბადრიძე (2), ლაფანაშვილი (9), ბექაური (5), სიგუა (8), კოღუაშვილი, ბოლქვაძე (2), ნოზაძე, ათანელაშვილი (10), გვიმრაძე (27), ფაიქრიძე (2), გულისაბედაშვილი (14)

გურამ ოსაძეგაშვილის ფოტო

დინამოელი ვიქტორ კოღუაშვილი (შუაში) სტუ-ს ფარს უტევს

იმედია, პატივცემულ მკითხველს არ ეწყინება, თუ დუდუ დადიანის ტურნირის საპირველტურო მატჩებს დეტალურად არ ჩავუღრმავდებით, მით უფრო, რომ ამის არაერთი მიზეზი გვაქვს. მთავარი ისაა, რომ გუშინდელი მატჩებიდან ერთიც არ ყოფილა ისეთი, საინტერესო და დაძაბული ჯანი რომ გვეხილა. ძლიერნი ამ ტურნირისანი სუსტებს ხვდებოდნენ და გამარჯვებას რომ იოლად მოიპოვებდნენ, თავიდანვე ნათელი იყო. თანაც დადიანის ტურნირი სეზონის გამხსნელია და სატურნირო-სთან ერთად, მას არანაკლებ გაცნობითი ხასიათი აქვს. ვინ რა გუნდი შეკრა და რისი მაქნისია, სწორედ ამ მემორიალურ ტურნირში უნდა გამოჩნდეს.

ჰოდა, ჩვენც გუნდები დავახასიათოთ: პირველივე მატჩში ითამაშა რუსთავის „აზოტმა", ამ სეზონის ყველაზე ამბიციურმა და მართლაც სიმპათიურმა გუნდმა. თავად განსაჯეთ, ქვემოქართლელებს ხუთეულში ნაკრების ოთხი წევრი ჰყავთ — ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში, ანატოლი ბოისა და დავით უგრეხელიძე.

ამ სანაკრებო ოთხეულს პლუს ვაკო ბეჟანიშვილი და, რაღა თქმა გჭირდებათ, ისედაც თვალნათელია რუსთაველთა სიძლიერე. სათადარიგოებს არ იკითხავთ?! რამაზ გოგობერიშვილი, ვახტანგ მინაშვილი, რევაზ დიდია და... თუმც, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, „აზოტს" შემადგენლობა ჰყავს, ერთი მატჩის მოგებას ალბათ არავის დაანებებს.

სსუ-ს რა წინააღმდეგობა უნდა გაეწია ძლევამოსილი „აზოტისთვის"?! ვერც გაუწია და 37:77 წაადო, თანაც ისე, რომ ყველა ფრონტზე პირწმინდად დაიჩაგრა.

მეორე მატჩში თსუ „მაკაბის" შეხვდა. სტუდენტებს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთ და თითქოს შემადგენლობაც გვარიანად დაბალანსებულია, თუმც შეთამაშება რომ სჭირდებათ, სუსტ „მაკაბთან" მატჩმაც კარგად გამოაჩინა.

თსუ-ელები მთელი სამი მეოთხედი ეჭიდავებოდნენ მაკაბელებს, მაგრამ ბოლო ათწუთეულამდე ვერ წამოაქციეს. ძმები შერმადინების და გოჩა წოწელიას მონდომება საკმარისი იყო, რომ სტუდენტებს თავი არხეინად ვერ ეგრძნოთ. თუმც ბოლო მეოთხედში მაინც თავისი გაიტანეს — ბესო ლეჟავამ, ლუკა შანიძემ, რიჩარდ მათიაშვილმა და დანარჩენმა უნივერსიტეტელებმა ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდის მარცხს გამანადგურებელი იერი მისცეს — 100:67.

და ბოლო მატჩი: „დინამო" — სტუ. ეს შეხვედრა სხვებთან შედარებით დაძაბული გამოდგა, თუმც სათამაშო კლასი იყო გვარიანად დაბალი და მოსაყოლადაც არ უნდა იყოს აღმაფრთოვანებელი. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ერთიც და მეორე გუნდიც საკმაოდ ახალგაზრდულია და წლეულს თუ არა, მომავალში აუცილებლად ექნებათ ამბიცია — რა თქმა უნდა, თუ შემადგენლობა შეინარჩუნეს.

განსაკუთრებით სტუ-ა ასაკნაკლული. მასში თითქმის არავინაა 20 წელზე ზევით, ხოლო 16-17 წლისანი, იცოცხლეთ, ბევრია. ჰოდა, ეს პირტიტველა ბიჭები კარგა ხანს უგებდნენ შედარებით გამოცდილ მოთამაშეებისგან შემდგარ „დინამოს", მაგრამ საბოლოოდ მაინც წაგებულები გამოვიდნენ.

დღეს ტურნირში „ავიამშენი" ებმება — გასული „დადიანობის" მოგები და ახლაც გვარიანი ამბიციის მქონე გუნდი. გუშინ თასის მოგების რეალური კანდიდატი ორი გუნდი ვიხილეთ — „აზოტი" და თსუ. თქმა არ უნდა, „ავიაც" ამათ შორისაა.

ირაკლი პერტაია

წამებად ქცეული წამები

დავით ბედინაძე ჯერაც ბოლომდე

დავით ბედინაძე (მარცხნივ) გუანჯოუში ვერცხლს დასჯერდა

დავით ბედინაძემ წლევანდელი სეზონი ორი მნიშვნელოვანი ტურნირის — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის მედლით ჩაამთავრა. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში მისი დარი შედეგი არავის უჩვენებია. 21 წლის ბიჭისთვის სტაბილური ვიცეჩემპიონობა ზოგადად დიდი წარმატებაა, მაგრამ თუ მოსკოვურ და გუანჯოურ ფინალებს გავიხსენებთ, სიხარულზე მეტად იმედგაცრუება და სევდა შემოგვაწვება. ევროპის ჩემპიონობა ბედინაძეს მსაჯებმა გამოაცალეს ხელიდან, მსოფლიოს ოქრო კი თავად დაკარგა უპატიებელი შეცდომით. ორივე გადამწყვეტ ეპიზოდში შეხვედრის დასრულებამდე წამები რჩებოდა

— რამდენი ხანია ვჭიდაობ და იმედი ასე არასოდეს გამცრუებია. არც ჰხელა ტკივილი განმიცდია. იმედია, ჩინური ფინალი ბოლო მწარე მოგონება იქნება. ის წამები სიცოცხლის ბოლომდე არ დამავიწყდება. შოკიდან ჯერაც არ გამოსულვარ. მსოფლიოს ჩემპიონობამდე ათი წამიღა მაკლდა.

— ძნელია, მაგრამ მაინც გაიხსენე ფინალის ბოლო წამები.

— ამერიკელს ქუდა სჭირდებოდა და ამისთვის ოცდაათი წამი ჰქონდა. თუ ჩოქბჯენს ვერ გამოიყენებდა, ოქროს მედალს მე ვიღებდი. მოვახერხე და ფეხზე წამოვდექი. გამარჯვება ნაადრევად ვირწმუნე, მომენტალურად მოვდუნდი და იქვე დავისაჯე. ვერაფრით ვხვდები, რა დამემართა, რატომ გავითიშე.

— ხომ არ ჯობდა, საერთოდ არ ამდგარიყავი და ბოლომდე ჩოქბჯენში გაგეძლო?

— შეხვედრის შემდეგ მწვრთნელებმა და გამოცდილმა მოჭიდაველებმა სწორედ ეგ მითხრეს. შეიძლება, მართლაც არ უნდა წამოვმდგარიყავი, მაგრამ ამერიკელმა ისე უხერხულად ამწია, შემეშინდა, არ გადამატრიალოს-მეთქი. ის მომენტი რომ არა, ალბათ, წამოდგომასაც არ ვიჩქარებდი. სიმართლე გითხრათ, ახლაც მგონია, რომ მაინც სწორად მოვიქეცი, ჩოქბჯენში რომ არ დავრჩი. უბრალოდ, იმის მერე ისეთი უპატიებელი შეცდომა არ უნდა დამეშვა.

— ვიდეოჩანაწერს უყურე?

— საბოლოო დასკვნას ჩანაწერის ნახვის შემდეგ გამოვიტან. მაგრამ ჯერ შემიძლია იმ ავადმოსაგონარ ფინალს ვუყურო. ალბათ, ცოტა დრო უნდა გავიდეს. უკე ორი ევროპის ჩემპიონატი და ერთი მსოფლიო ვიჭიდავე. ასე რომ, ვერ ვიტყვი, გამოუცდელობამ დამღუპამეთქი. თუმცა საჭიდაო სტაჟი მაინც მაკლია. ასეთ შეცდომას გამოცდილი მოჭიდავეები არ უშვებენ.

— წლეულს ევროპის ჩემპიონატზეც ფინალში დამარცხდი. იქაც ბოლო წამებზე...

— მოსკოვური მარცხი მთლიანად არაობიექტური მსაჯობის ბრალი იყო. ნორმალურად რომ ემსაჯათ, ევროპის ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი. გუანჯოუში კი ჩემი შეცდომით წავაგე. ორივე ფინალმა ძალიან დამწყვიტა გული, მაგრამ ამის მიუხედავად, წლევანდელი სეზონი მაინც წარმატებული იყო. ორი ვერცხლიც ნორმალური შედეგია.

— ჩინეთში გამგზავრებამდე ელოდი ფინალში გასვლას?

— წინასწარ გეგმებს არასოდეს ვაწყობ და არც პროგნოზების კეთება მიყვარს. ყველა ტურნირზე საჩემპიონო განწყობით მივდივარ და თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე ვიხარჯები. შედეგი ამ შემართებას მოაქვს ხოლმე.

— ახლა ისვენებ?

— ჩინეთიდან დაბრუნებულს მწვრთნელებმა დასასვენებლად ათი დღე მომცეს და ამ დროს ბათუმში ვატარებ. მერე კი ისევ თბილისში ჩამოვალ და ძველი შემართებით გავაგრძელებ მზადებას. პირველი ტურნირი იანვარში მელის. ნაკრებში ადგილის შესანარჩუნებლად საქართველოს ჩემპიონატზე წარმატებით უნდა ვიჭიდავო.

ოთარ მაღლაკელიძე



დავით ბედინაძემ ჯო უორენთან დასანანი მარცხი იწვნია

მსოფლიოს ჩემპიონატი

ტურინი. იტალია. 30 სექტემბერი – 8 ოქტომბერი

ქართული დაშნა ამაოდ დაშვრა

იტალიურ ტურინში, სადაც თებერვალში ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიმართა, მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელდება და ხმლით მოფარიკავე კაცებისა და რაპირისტი ქალების შემდეგ საფარიკაო ბილიკზე დაშნის ოსტატებიც გავიდნენ. მათ შორის სამი ქართველიც იყო, თუმცა მოხმალავე თანამემამულეთა დარად ვერც მათ შეძლეს ოცდათორმეტ საუკეთესოს შორის მოხვედრა.

დავით ელბაქიძის, ანზორ ალბრეხტისა და დავით არველაძის სამეულიდან ყველაზე უკეთ 19 წლის ელბაქიძემ იასპარეზა. წინასწარ ეტაპზე დათომ 5:3 მოუგო ინდონეზიელ იეტრაუ ფლორენცო ჰენანუსას, 1:5 წააგო კუბელ კამილო ბორის ბარიენტოსთან, 5:4 სძლია კუვეიტელ ჰასან ჰასანს, 1:5 დათმო შვეიცარიელ მიხაელ კაუტერთან, 5:4 აჯობა ბულგარელ პეტერ ტოჩკოვს, 2:5 წაგო ყირგიზ კონსტანტინ ალცევთან, მერე, დამატებით ორთაბრძოლაში ისევ ჰასანი დაჯაბნა 15:7 და პლეი ოფში გაიწია, მაგრამ იქ პირველივე წრეში 10:15 დამარცხდა პოლონელ რობერტ ანდრეჟუკთან.

წინასწარ ეტაპზე ექვსიდან, ასევე სამი ორთაბრძოლა მოიგო 20 წლის ანზორ ალბრეხტმა. თავიდან ჩვენებურმა 4:3 სძლია პორტუგალიელ იოახიმ ვიდეირას, მერე კი ზედიზედ სამი მარცხი იწვნია — ესპანელ ხოსე ლუის აბადოსთან 1:5 წააგო, გერმანელ სვენ შმიდთან — 3:4, ხოლო ყაზახ სერგეი შაბალინთან — 0:5. თუმც ამ სამი წაგების ეშმდეგ ანზორმა მაინც ივაჟკაცა, მალაიზიელ რუმენჩანდრან რამაჩანდრანს 5:2 მოუგო, ჩილელ სერხიო პენსო ხუნგეს 5:1 და ვენესუელელი ლიმარ ჰერნანდესისთვისაც რომ ეჯობნა, ოცდამეორმეტედფინალში გააღწევდა, მაგრამ 8:15 დამარცხდა.

რაც შეეხება 19 წლის დავით არველაძეს, მან წინასწარ ეტაპზე მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა მოიგო ბულგარელ ტეოდორ დუნდაკოვთან 5:4, დანარჩენი ოთხი კი წააგო — სამხრეთ კორეელ სანგ სუნ პარკთან 1:5, კანადელ იგორ ტიხომიროვთან 2:5, პოლონელ კრჟიშტოფ მიკოლაჟჩაკთან 1:5 და პორტუგალიელ ჟოაო კორდეიროსთან 1:5.

ამით ქართველებმა პირად პირველობაში გამოსვლა დაასრულეს და ახლა როგორც ხმლით, ისე დაშნით მოფარიკავეები გუნდურ პირველობაში სცდიან ბედს. რა თქმა უნდა, ჩვენები ვერც იქ შეძლებენ

AFP ტურინიდან

ქალთა რაპირა მარგარიტა გრანბაზმ მოიგო

მედლებისთვის ბრძოლას, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი გამოცდილების მიღებაა — 18-20 წლის ქართველებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დიდი სკოლაა და, თუ მოხერხდება და ისინი სისტემატურად მიიღებენ მონაწილეობას მაღალი დონის ტურნირებში, მერე წარმატებებიც მოვა.

გია მუჯირი

რაპირა. ქალები. პირადი

1 მარგარიტა გრანბაზი (იტალია)
2. ვალენტინა ვეცალი (იტალია)
3. ჯოვანე ტრილინი (იტალია)
3. აიდა მოხამედი (უნგრეთი)

ხმალი. კაცები. პირადი

1. სტანისლავ პოზდნიაკოვი (რუსეთი)
2. ჟოლტა ნემჩიკი (უნგრეთი)
3. ალექს ფროსინი (რუსეთი)
3. ვონ ვუ იუნი (სამხრეთ კორეა)

საქართველომ და რუმინეთმა ესპანეთი გაარკვიეს

საბოლოოდ გაირკვა საგაისო მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეორე მეტოქე. კაცმა რომ თქვას, ესპანეთი-ჩეხეთის წყვილში გამარჯვებულის გამოცნობას დიდი მარჩიელობა არც სჭირდებოდა.

ესპანეთი რომ ჩეხეთს იოლად მოუგებდა ორრაუნდიან ბრძოლას, იმთავითვე ცნობილი იყო. პირველი მატჩის სტუმრად 22:10 მოგების შემდეგ იბერიელებმა საპასუხო შეხვედრაც იოლად 46:10 მოუგეს სლავებს და მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ჯგუფში საქართველოს და რუმინეთს ჩაუჯდნენ. ასე რომ, 7 ოქტომბერს ჩვენები სტუმრად ეთამაშებიან რუმინეთს და 21 ოქტომბერს მასპინძლობენ ესპანეთს. თუ ამ ერთწრიან რაგბობაში ქართველები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ, მაშინ პირდაპირ მოხვდებიან მსოფლიოს თასზე, თუ არა და იტალიარუსეთ-პორტუგალიას შორის მეორე ადგილზე გასულთან მოუწევთ შინ და გარეთ პრინციპით მუნდიალის საგზურის მოპოვება. თავის მხრივ, რუსეთმა ამ უქმეებზე სახლშიც 37:17 მოუგო უკრაინას და შესარჩევ ეტაპზე ჯგუფში იტალიას და პორტუგალიას მიაკითხა.

ბაჩო სვანიძე

ნიჩბოსნობა ნიჩაბზე დასადები არ არის

გურამ ფირცხალავა ფოტო

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ჩვენი ყველაზე წარმატებული სპორტსმენი გივი ნიკურაძე იყო. გასული საუკუნის 70-იან წლებში იგი ოთხჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და კიდევ არაერთი ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. იყო ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, ხოლო 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ნაკრების სათადარიგო მენიჩბედ წაიყვანეს. აქტიურ სპორტს რომ გამოეთხოვა, საბჭოთა ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა, მერე თავისი სპეციალობით თბილისის ერთ-ერთ სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელობდა, ბოლოს კი, 1996 წლიდან, გულმა ისევ ნიჩბოსნობისკენ გაუწია და მას შემდეგ იგი საქართველოს აკადამიური, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობის, აგრეთვე სანიჩბოსნო სლალომის გაერთიანებული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, თუმცა გენერალური მდივნის ფუნქციასაც ასრულებს, ხშირად მწვრთნელისასაც, როცა მეტი გზა აღარაა, კიდევ სხვა საქმეებსაც ითავსებს, რაც ამ ფედერაციის დალხენილ ცხოვრებაზე სულაც არ მეტყველებს.

საინტერესოა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ პარლამენტარი ბეჟან ხურციძე, რომელიც თავის დროზე ხან გივი ნიკურაძის მეტოქე იყო, ხან ერთ ნავში ისხდნენ, ერთხელ კი ორივემ ერთად საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ასე რომ, ისინი ახლაც ერთ ნავში სხედან.... ასეა თუ ისე, **გივი ნიკურაძე** თავის საქმეში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაა და ამ სახეობის პრობლემებზე სწორედ მას ვესაუბრეთ

— **თქვენ დროს ნიჩბოსნობის სამივე სახეობაში მრავლად გვყავდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონ-პრიზიორები, გვყავდა ოლიმპიური ჩემპიონია და მიუხედავად ამისა, მაინც აქეობდნენ, საქართველოში ნიჩბოსნობა სპორტის ერთ-ერთი ჩამორჩენილი სახეობაო. საინტერესოა, ამ სახეობათა დღევანდელ მდგომარეობას როგორღა შეაფასებდით?**

— მაშინ თუ ნიჩბოსნობა ჩამორჩენილი იყო, დღეს, შეიძლება ითქვას, რომ უფსკრულში და ფსკერზე ვართ.

— **კი მაგრამ, რატომ? საქართველოში ხომ სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის კარგი პირობებია?**

— კარგი კი არა, იდეალური პირობებია. მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ჩვენნაირი ბუნებრივი პირობებით თავს ცოტა თუ მოიწონებს. აქ ზამთრობით წყალი არ იყინება და მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ვარჯიში. თანაც საქმე ასარჩევადაც გვაქვს. შაორისა და სიონის წყალსაცავში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მძიმე წყალია, სადაც ნიჩბოსანს გაცილებით მეტი ენერგიის ხარჯვა უნდება. იგივე ითქმის თბილისის ზღვაზეც. ამიტომ იქ ნაჯაფარ კაცს სხვაგან შეჯიბრება უიოლდება, ფოთი და მალთაყვა კი საოცარი ბუნებით გამორჩევა, სადაც ზამთრობით სავარჯიშოდ იდეალური პირობებია. ამიტომაც იქ რამდენიმე სანიჩბოსნო ბაზა იყო და წინათ სხვა რესპუბლიკებისა და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები ჩამოდიოდნენ. წარმოიდგინეთ, ყოველწლიურად 5-6 ათასი ნიჩბოსანი ჩამოდიოდა. იმათ ვარჯიშებს აქაურები რომ უყურებდნენ, ეს ჩვენი ახალგაზრდებისთვისაც დიდი სტიმული იყო. ახლა რუსთა ნაკრები იძულებულია, სხვაგან ივარჯიშოს, მაგრამ ფოთის მსგავსი ბაზა ვერსად უპოვია. ამიტომ ახლა დიდ შეჯიბრებებზე ნაჩვევ გამარჯვებებს ვინღა ჩივის, ხშირად ფინალებშიც ვეღარ ხვდებიან, თუმცა ყველივე ამან ჩვენი ნიჩბოსნობის განვითარებაზეც ცუდად იმოქმედა. ამას გარდა, ამ ბაზებზე ნიჩბოსნობის შენობა-ნაგებობები გაოხრდა და გავერანდა. განუკითხაობის წლებში ფოთის „ვოდნიკის“ მშვენიერ ბაზას შეიარაღებული ხალხი ორ ბოთლ შამპანურზე დანიძლავებულნი მიზანში ტყვიებსა და ნაღმებს უშენდნენ, რამაც იქაურობა სულ დაანგრია. იქაური „დინამოს“ ბაზა სულ დაშალეს და კარ-ფანჯრები თუ იატაკი გასათბობად გამოიყენეს.

— **კი მაგრამ, თბილისელი ან მცხეთელი ნიჩბოსნები სადღა გაქრნენ. წინათ მათი ნავები მტკვარს ალამაზებდნენ, ახლა კი ასეთ პეიზაჟს ვეღარ ვხედავთ.**

— სამწუხაროდ, ახალგაზრდობა ნიჩბოსნობას ძველებურად აღარ ეტანება. ან რომ მოვიდნენ, სადაა ნავები. ჩვენი სპორტსმენები ადამისდროინდელი ნავებითა და ნიჩბებით ვარჯიშობენ. ისინიც დალეწილი, დაკერებული და დაწებებელია. მთელი და ახალთახალიც რომ იყოს, თანამედროვე და ჩვენს ნავებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ცასა და დედამიწას შორის. მაინც ამბობდნენ, შარშან ჩვენი ორი სპორტსმენი იტალიაში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ჩავიყვანეთ. იქ მათ საშეჯიბროდ თანამედროვე ნავი დაახვედრეს, მაგრამ რად გინდა, მამაპაპისეულ, დანგრეულ ნავებზე მიჩვეულნი თანამედროვეში რომ ჩასხდნენ, უმალ ამოყირავდნენ. მერე ჩემს იქაურ ნაცნობ კოლეგებს ვთხოვე, იქნებ სადმე ძველი ნავი გქონდეთ-მეთქი. მიდგნენ, მოდგნენ და სადღაც 25 წლის წინანდელ ნავს ძლივს მიაგნეს, იმით გამოსვლა კი ჩვენს სპორტსმენებს აღარ გაუჭირდათ, თუმცა, ცხადია, მაინც ვერას გახდნენ.

შედარებისთვის გეტყვით, რომ 2000 მეტრზე შეჯიბრებებისას ნიჩბებს 250-ჯერ უსვამენ. ძველი ნავი თანამედროვეს თითო მოსმაზე თუნდაც მხოლოდ 3 სანტიმეტრით რომ ჩამორჩეს, საბოლოო ჯამში ეს 7,5 მეტრი გამოვა, ასეთი ჩამორჩენა რომ აანაზღაურო, მეტოქეებზე ორი თავით მაღლა უნდა იდგე.

ახლა ნიჩბებს აღარ იკითხავთ? ჩვენი ძველი აკადემიურის ნიჩბები 4-კილოგრამიანია, თანამედროვე კი ამის ნახევარი.

ამ ზაფხულს ინგლისში გამართულ აკადემიურ ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ოლიმპიური ფონდის დახმარებით ორადგილიანი უმესაჭეო ნავით გიორგი ელყანიშვილი და კახა კანდელაკი გამოვიყვანეთ. ისინი გუშინდელი ჭაბუკები, 18-19 წლისანი არიან და ასეთი დონის შეჯიბრებაზე საერთოდ პირველად იყვნენ.

რაკი უნავოდ ჩავედით, მასპინძლებმა თავიანთი დაგვახვედრეს. ოლიმპიურ ფესტივალზე ჩვენი ახალგაზრდების ბედი რომ არ გაეზიარებინათ, ჩემი თხოვნით სხვადასხვა ქვეყნის და ფირმის 6 ნავი გაასინჯეს, რათა რომელიმეს მორგებოდნენ. ბოლოს გაჭირვებით ჩინურს მოერგნენ.

მათ ისეთი ბრძოლა გაუწიეს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ-პრიზიორებს, რომ ამის შემხედვარეს ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ბოლოს XVI ადგილზე გავიდნენ და უკან არაერთი დალხენილი ქვეყნის ნავებიც ჩამოიტოვეს. გაისად მიუნხენში მსოფლიოს ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიური თამაშების 13 ლიცენზია გათამაშდება და, დარწმუნებული ვარ, თუ ამ ბიჭებს ყურადღებას არ მოვაკლებთ, მათ ოლიმპიურ ნავში ვიხილავთ.

— მაინც, რა გახდა ეს თანამედროვე ნავი, ნუთუ ასე ძნელია მათი შეძენა?

— ნიჩბოსნობა საერთოდ ძვირადღირებული სპორტია. მაგალითად, ერთადგილიანი აკადემიური ნავი 6-7 ათასი ევრო ღირს, ორიანი — 12-15 000, ოთხიანი — 20 000, ხოლო რვიანი — 30 000 ათასი ევრო. ამასთან, ერთ ეკიპაჟს, მოთხილამურეებისა არ იყოს, საშეჯიბროდ რამდენიმე ნავი სჭირდება იმისდა მიხედვით, თუ როგორი ამინდია, და როგორი ქარი ქრის.

მაგრამ პრობლემა მხოლოდ ნავი არაა. წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე დავინტერესდი, თუ რა დაუჯდა გამარჯვებულ გერმანელთა რვიანს მომზადება და აღმოჩნდა, რომ იანვრიდან აგვისტომდე მილიონ 200 000 ევრო დაუხარჯავთ. ეს თანხა, მგონი, ჩვენი სპორტის დეპარტამენტის მთელი წლის ბიუჯეტია. აქედან ჩვენი წილი სულ რაღაც 15 000 ლარია. ასე რომ, თავს ზემოთ ძალა არ არის. რა თქმა უნდა, ნიჩბოსნობა ჩვენთან სპორტის პრიორიტეტული სახეობა არაა. ჭიდაობა, ძიუდო, ფეხბურთი, კალათბურთი კარგია, მათ მეტი ყურადღებაც უნდა მიექცეს, მაგრამ რა დაამავა ნიჩბოსნობამ, სადაც ოლიმპიურ თამაშებზე მედლების 30 კომპლექტი თამაშდება?

ძალიან ცუდია, რომ ჩვენთან სპორტის პრიორიტეტული სახეობები ოფიციალურად გამოცხადდა. ჯობდა, ფართო მასებისთვის საიდუმლოდ დარჩენილიყო, თორემ ახლა რომელიმე რაიონის ხელმძღვანელობას თანადგომას რომ ვთხოვთ, ისინი გვეუბნებიან, ძმაო, თქვენი სახეობა პრიორიტეტული არ ყოფილა და ფული რაში დავხარჯოთო. ამიტომ ახალგაზრდობაც გაგვირბის...

— სხვა საშველი არ ჩანს?

— ახლა საქართველოს ოლიმპიური ფონდი გარკვეულ დახმარებას გვპირდება და ჩვენი საერთაშორისო ფედერაციების იმედზე ვართ. აკადემიური ნიჩბოსნობის ფედერაციამ წლეულს 6 ნავი და სპეციალური ტრენაჟორი უკვე გვაჩუქა და ისინი გერმანიიდანაა ჩამოსატანი. 4 ნავს კიდევ საბაიდარო და აკადემიური ნიჩბოსნობის ფედერაცია გვპირდება, მაგრამ ამ სახეობებისთვის ეს ზღვაში წვეთია, თუმცა სულ არარაობას მაინც სჯობია.

ავთანდილ ბუკვიზელი

ოსკარმა ფელიჩეს უარყო

დიდ სპორტსმენებს ახირებები რომ ახასიათებთ, ახალი ამბავი არ არის. ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ზოგიერთს კვირაში შვიდი პარასკევი აქვს და დღეს რომ ერთს იტყვის, ხვალ მეორეს გაკეთება უნდა — თანაც ისე, რომ არც კი ხსნის თავის გადაწყვეტილებას.

პროფესიული კრივის ლეგენდისა და ექვს სხვადასხვა წონაში ჩემპიონ ოსკარ დე ლა ჰოიას საქმეც ეგრეა. თუნდაც ის რად ღირს, რომ "ოქროს ბიჭი" უკვე სამჯერ წავიდა კრივიდან და ამდენჯერვე დაუბრუნდა რინგს.

ორიოდე თვის წინ გამოაცხადა, რომ ახლა უკვე საბოლოოდ აპირებდა წასვლას, მაგრამ მანამდე ფილიქს ტრინიდადთან ჩხუბი და რევანშის აღება ეწადა. ჰოდა, როცა ყველა ამ ჯახის მოლოდინში იყო, დე ლა ჰოიამ განაცხადა, ტრინიდადთან ჩხუბი აღარ გამოვა და მომავალის წლის მაისში ის პირველ საშუალო წონაში IBF-ის ვერსიით ჩემპიონ ფლოიდ მეიველზერ-უმცროსს შეხვდება.

„მოკლედ, მინდა, ტრინიდადთან სავარაუდო შეხვედრის შესახებ საბოლოოდ გაგარკვიოთ — ეს ბრძოლა არასოდეს შედგება. მე ნამდვილად აღარ შემიძლია საშუალო წონაში გადასვლა. ისიც საეჭვოა, რომ მან პირველ საშუალო წონაში ჩამოსვლა შეძლოს, ამიტომაც ჩვენი ჩხუბი აღარ გამოვა".

ასე კი გაამართლა „ოქროს ბიჭმა" თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ ვითომ მართლა მარტო ამაშია საქმე? ბევრი სპეციალისტი ამას ეჭვის ქვეშ აყენებს — მით უმეტეს, რომ დე ლა ჰოიას საშუალო წონაში არაერთხელ უბრძოლია და საჩემპიონო ქამარიც მოუპოვებია.

როგორც აღმოჩნდა, კრივში ჩახედული ხალხი სწორი ყოფილა — დე ლა ჰოიას უარის მიზეზი ტრადიციულად ფული აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ოსკარის შემდეგი კომენტარიდან სხვა დასკვნის გამოტანა ნამდვილად ძნელია:

„ისინი თანაბარ ჰონორარს ითხოვენ. ეს ხომ სასაცილოა. აბა, განსაჯეთ, ჩემს პირობებსაც რომ დათანხმებოდნენ, რომლის მიხედვით ჰონორარი 70/30-ზე ნაწილდებოდა (რა თქმა უნდა, დე ლა ჰოიას სასარგებლოდ), ტრინიდადი მაინც კარიერაში ყველაზე დიდ თანხას მიიღებდა. ჰოდა, ახლა 50/50-ზე მომინდომეს".

კახა ლომაშვილი



ოსკარ დე ლა ჰოია

მოსმა ღვეზელივითაა: მცხეთური უკეთესია

საქართველოს ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნებმა წლევანდელი სეზონი რუსთავში გამართული ქვეყნის საშემოდგომო ჩემპიონატით დაასრულეს. შეჯიბრებაში ძირითადად ჭაბუკური ასაკის ნიჩბოსნები მონაწილეობდნენ, რაკი ამ სახეობის გაჭირვებული მდგომარეობის გამო უფროსები პერსპექტივას ვეღარ ხედავენ და აქტიურ სპორტს ეთხოვებიან, დარჩენილები კი ნავებსაც მოისაკლისებენ. ამიტომაც შეჯიბრებაში მხოლოდ 500 მეტრზე მოასპარეზე ვაჟები ვამოვიდნენ, ყველას კი მცხეთელებმა აჯობეს და ოთხი დისციპლინიდან სამში არავის დაუთმეს პირველობა.

ვასილი პეტროვმა ყველას აჯობა ერთადგილიანი კანოეთი შეჯიბრებაში, მერე კი შალვა ხიზანიშვილთან ერთად ორადგილიანითაც გაიმარჯვა.

ერთადგილიანი ბაიდარით ჩემპიონობა ოლეგ ოლეინიკმა იზეიმა.

ერადერთი პირველი ადგილი, რომელიც მცხეთელებმა დაკარგეს, ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრება იყო. აქ ყველას აჯობეს ქუთაისელმა მოგვარეებმა, გიორგი და ვიქტორ მანაგაძეებმა.

ავთანდილ ბუკვიზელი

ჯეიმს ბლეიკმა შანხაი დაინახა

AFP ლუქსემბურგიდან

ალიონა ბონდარენკო

პალერმო იტალიელმა დახურა

კვირას სიციალიაზე 22-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად იმარჯვა იტალიელმა. დიდი შანსია, წლევანდელი გათამაშება უკანასკნელი გამოდგეს, რადგანაც პალერმოს ტურნირს სპონსორებმა ზურგი აქციეს და მომავალ წელს კიდევ გაიმართება თუ არა, ცნობილი არ არის, ამ პირობებში კი იტალიელის ტრიუმფი მასპინძელთათვის ერთიორად სასიხარულოა.

იტალიელები ფილიპო ვოლანდრიმ გაახარა, რომელმაც ამ გამარჯვებით კიდევ ერთი ნავსი გატეხა და პალერმოში მხოლოდ მესამე ცდიდან იმარჯვა. ვოლანდრიმ შარშანწინ ტომაშ ბერდიხთან, შარშან კი იგორ ანდრეევთან წააგო ფინალი, მაგრამ ამჯერად ნიკოლას ლაპენტის აღარ დაუთმო და კარიერის მეორე ტიტულიც მოიხვეჭა.

ბლეიკის რთველი

ჯეიმს ბლეიკი საუკთესო სეზონს რომ ატარებს, ორი დღის წინაც დამტკიცდა — წლევანდლამდე ორი საკარიერო ტიტულის მომგებმა შავტუხა ამერიკელმა მიმდინარე სეზონში რთველი მოიწყო და უკვე მეოთხე ტურნირი მოიგო. თუმც თვითონ იანკისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ გამარჯვების შედეგად მისი შანსები შანხაიში მოსახვედრად ფრიად გაიზარდა. ბანგკოკის ტრიუმფის შემდეგ ბლეიკმა რეიტინგში მეცხრე ადგილიდან მეექვსეზე აინაცვლა.

საკუთრივ ბანგკოკის ფინალში კი ბლეიკი ბავშვივით გაუსწორდა ტაილანდში პირველ ნომრად განთესილ ივან ლიუბიჩიჩს და სულ რაღაც 55 წუთში მოუგო. ეს დიდწილად იმის ბრალიცაა, რომ ხორვატმა თავისი ქებული ყუმბარმტყორცნი საერთოდ ვერ აამუშავა, რის გამოც ამერიკელმა ხუთჯერ დაბრეიკა.

„ეს ისეთი დღე იყო, როცა მე ყველაფერი გამომდიოდა, ჩემს მეტოქეს კი საერთოდ არაფერი“ — ასე ლაკონურად აღწერა მატჩის პერიპეტიები ბლეიკმა.

ამღვრეულ წყალში უკრაინელმა ითევზავა

ლუქსემბურგში მთელი კვირის განმავლობაში მიმდინარე ქაოსსა და არეულობაში ყველაზე ცივსისხლიანი უკრაინელი ალიონა ბონდარენკო გამოდგა, რომელმაც ლამის კარიერის შანსი გამოიყენა და ძალიან წარმომადგენლობითი ტურნირიც მოიგო.

ქაოსზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ გასულ კვირას ლუქსემბურგში ერთბაშად რამდენიმე ჩოგბურთელმა ხმაურიანი სენსაციები გამოაცხო — აგნეშკა რადვანსკამ, რობერტა ვინჩიმ, კვეტა პეშკემ და თვითონ ბონდარენკომ ნახევარფინალებამდეც კი არ მიუშვეს ისეთი ფავორიტები, როგორებიც ელენა დემენტიევა, ნადია პეტროვა, ვენუს უილიამსი, მარი პრისი და სხვები იყვნენ.

ჰოდა, ეს ამღვრეული ვითარება ყველაზე კარგად ბონდარენკომ გამოიყენა და ფინალში ზეკურატული თამაშის წყალობით ფრანჩესკა სკიავონე დაამარცხა. უკრაინელმა პირველი მოწოდების 80% გამოიყენა და იტალიელს დამსახურებულადაც მოუგო.

ბონდარენკოსთვის ეს თავისთავად პირველი ტიტულია. ის აქამდე სულ ერთხელ, ჰაიდერაბადში იყო ფინალში და მაშინაც სანია მირზასთან წააგო. ასე რომ, ეს უკრაინელის მართლაც უდიდესი წარმატებაა.

ჩაკვეტაძემ გამარჯვებას გემო გაუგო

კარგა ხანია, ანა ჩაკვატაძე ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება, თუმც აქამდე მისი ყველაზე დიდი წარმატება ორიოდე ნახევარფინალში თამაში იყო. და აგერ ჩინურ გუანჯოუში რუსმა პირველად შედგა ფეხი თავისთვის უცხო ტერიტორიაზე — პირველად ითამაშა ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრებში. [illegible] ცდიდან გაიგო გამარჯვების გემო.

ჩაკვეტაძე ფინალში საათნახევარში გაუმკლავდა ანაბელ მედინა გარიგესს და ესპანელი უკვე მეოთხე ურთიერთშეხვედრაში დაამარცხა.

დანილიდუს ეფექტურობა

ეს 24 წლის ბერძენი ფინალამდე იშვიათად მიდის, მაგრად თუ ვაკიდა, ფაქტობრივად არ აგებს. ასე განსაკუთ — სულ ხუთ ფინალში უთამაშია, რომელთაგან ოთხი მოიგო. ჯერაფერს იდაყვი, შესაშური ეფექტურობაა.

ასე იყო სეულშიც, სადაც ფავორიტები საწყის წრეებშივე დაიფრინეს. ამაში თავისი წვლილი დანილიდუმაც დაიდო, რომელმაც ტურნირის მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრები — შესაბამისად, მარიონ ბარტოლი, აი სუგიამა და ვერა ზვონარიოვა დაამარცხა. ამის მერე ალბათ არავის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ ბერძენი ამ წარმატებას არ იმსახურებდა.

კახა ლომაშვილი

კაცები

ბუმბაი. ინდოეთი. ჰარდი
საპრიზო 380 000 $

ფინალი

დმიტრი ტურსუნოვი (4, რუსეთი) — **ტომაშ ბერდიხი** (3, ჩეხეთი) 6:3 4:6 7:6

სარეიტინგო სეკვესტრი

პროფესიონალ ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის მიერ გუშინ გამოქვეყნებულ მორიგ რეიტინგში ქართველ ქალთა წარმომადგენლობა რვამდე შემცირდა. მცოცავი კლასიფიკაციიდან ერთბაშად სამი ჩვენებური ამოვარდა და ვინც დარჩნენ, ორის გარდა მათაც რეგრესი განიცადეს.

ეს ორი გამონაკლისი საქართველოს პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი და სალომე დევიძეა. ჩახნაშვილმა კიდევ ოთხი საფეხურით წინ წაიწია და 180 სარეიტინგო ქულით კარიერის უმაღლეს, 146-ე ადგილს უწია, ხოლო დევიძემ 21 პოზიცია მოიგო და ახლა 20,25 ქულით 599-ე ადგილზეა.

დანარჩენებმა, როგორც ვთქვით, უკან დაიხიეს — ზოგმა ნაკლებად, ზოგმა მეტად. ორ-ორი პოზიცია დაკარგეს სოფო მელიქიშვილმა და ანა ტატიშვილმა. ამ წუთისთვის სოფო 78 ქულით 293-ეა, ხოლო ანას 71,5 ქულით 306-ე ადგილი უჭირავს.

44 ადგილით დაქვეითდა და 8,25 ქულით 893-ე საფეხურზეა სოფო შაფათავა. მანანა შაფაქიძემ, სულაც 187 პოზიცია დაკარგა და 7,25 ქულით 940-ე ადგილზე ჩაიწია. 13 ადგილით დაქვეითდა და 4,75 ქულით 118-ე პოზიციაზეა თეონა ცერცვაძე, ხოლო ია ჯიქიამ კიდევ სამი საფეხურით უკან დაიხია და 1,5 ქულით 1440-ე ადგილზე ჩაინაცვლა.

ქალები

გათთესვის რეიტინგი

1. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	3746
2. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	3474
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3037
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	2384
5. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	2165
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2027
7. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	1996
8. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1850
9. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1793
10. დინარა საფინა (რუსეთი)	1502
11. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	1500
12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1495
13. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	1292
14. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1262
15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	1197
16. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	1161
17. მარი პირსი (საფრანგეთი)	982
18. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია)	935
19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	886
20. ნა ლი (ჩინეთი)	876

საჩემპიონო რბოლა

1. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	3473
2. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	2872
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2727
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	2433
5. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	1860
6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	1851
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1753
8. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	1599
9. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1441
10. დინარა საფინა (რუსეთი)	1412
11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1169
12. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	1114
13. ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1000
14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	976
15. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	937
16. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია)	899
17. ნა ლი (ჩინეთი)	880
18. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	824
19. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	810
20. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	800

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე

ელისტა. რუსეთი. 23 სექტემბერი-12 ოქტომბერი

კრამნიკმა ჰო თქვა და არა ჩაიფიქრა

ელისტაში ოთხდღიანი სატუალეტო დრამა დასრულდა და მოჭადრაკეები, ვლადიმერ კრამნიკი და ვესელინ ტოპალოვი კვლავაც სათამაშო მაგიდას მიუსხდნენ. არადა, შეიძლებოდა, პარტია ისევ ჩაშლილიყო.

შეგახსენებთ, რომ ამ სკანდალის გამო კრამნიკი მეხუთე პარტიის სათამაშოდ არ გამოცხადდა და ორგანიზატორებმაც ტექნიკური წაგება ჩაუთვალეს. დიდოსტატმა ჩათვალა, რომ უსამართლოდ მოექცნენ, საკუთარი უფლებების დაცვა და მეხუთე მატჩის გადათამაშება მოითხოვა. ფიდემ უსაფუძვლოდ ცნო კრამნიკის ბრალდებები და განაჩენი ძალაში დატოვა. მოჭადრაკე ბოლო მომენტამდე უარს ამბობდა თამაშზე, თუმც მაინც გადაიფიქრა, ტოპალოვს ხელი ჩამოართვა და დაფას მიუჯდა.

„ვიმედოვნებ, რომ ფიდე სამართლიანად მომექცევა და მეხუთე მატჩს მოგვიანებით გადამათამაშებინებს, მათ კონტრაქტის პირობები დაარღვიეს და გადაწყვეტილება ჩემს გარეშე მიიღეს — განაცხადა რუსმა — წესით, მეექვსე პარტია არ უნდა მეთამაშა, თუმც ჩემს ქომაგებს პატივი ვეცი და საბოლოოდ არჩევანიც მათ სასარგებლოდ გავაკეთე.“

მეექვსე პარტია ტოპალოვმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, მსუბუქი ფიგურები გამოუშვა და მეტოქე ცენტრში დაარტყა. საპასუხოდ შავებმაც შეუტიეს თეთრებს და თამაში დიდ სისხლის ღვრაში გადაიზარდა. დიდოსტატებმა რამდენიმე ფიგურა გაცვალეს, ცენტრში ფიგურების მობილიზებას შეუდგნენ და ახალი იერიშითვის მოემზადნენ. ტოპალოვმა d ხაზზე ეტლები დაამწკრივა, მეტოქის მეფისკენ მიმართა და 25-ე სვლაზე შეუტია. კრამნიკმა ეტლებს ეტლები დაახვედრა, ორივე ფიგურა გაუცვალა და 31-ე სვლაზე ყაიმი გამოაცხადა.

ექვსი ტურის შემდეგ ანგარიში 3,5:2,5-ია კრამნიკის სასარგებლოდ.

ლაზა გეგეჭკორი

ეუალი სამუელი

ვალვერდემ პირველობა გაინაღდა

სამუელ სანჩესი

ბასკური ველოგუნდის, „ეუსკალტელის“ 28 წლის მრბოლის სამუელ სანჩესის გამარჯვებით დასრულდა მიმდინარე სეზონში პრო-ტურის ერთ-ერთი უკანასკნელი შეჯიბრი, „ციურიხის ჩემპიონატად“ წოდებული ერთდღიანი კლასიკური რბოლა.

სანჩესი 233 კილომეტრიანი დისტანციის ფინიშამდე ექვსი კილომეტრით ადრე გაექცა მოწინავეთა შვიდკაციან ჯგუფს, რომელშიც ავსტრალიელი ოგრეიდი, იტალიელები რებელინი და მორენი, ჰოლანდიელი ბოგარდი, დანიელი სორენსენი და ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი შვეიცარიელი კანჩელარა შედიოდნენ.

წვიმიან ამინდში სანჩესმა ზუსტად შეარჩია შეტევის დრო და წინ ისე გავარდა, რომ კონკურენტებს დაწევის ყოველგვარი ხალისი მოუსპო. საბოლოო ჯამში „ეუსკალტელის“ მრბოლმა ეულად უწია ფინიშს, მდევრებს 30 წამი მოუგო და კარიერაში პირველად მოიგო ერთდღიანი კლასიკური რბოლა.

„მე ჩრდილოეთ ესპანეთში გავიზარდე და სიცივე და წვიმა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს — განაცხადა ფინიშის შემდეგ ბედნიერმა გამარჯვებულმა და დაამატა — მე ყველას დავუმტკიცე, რომ ერთდღიანი რბოლების მოგებაც შემიძლია. როდესაც ფინიშამდე ერთი კილომეტრით ადრე შემატყობინეს, რომ ნახევარ წუთს ვიგებდი, მივხვდი, პირველობა ჩემი იქნებოდა“.

სეზონის ბოლოს სანჩესი მართლაც შესაშურ ფორმაშია. ახლახან ზალცბურგში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ის მეოთხე იყო ჯგუფურ რბოლაში, ხოლო მანამდე მშვენივრად იასპარეზა მშობლიურ „ვუელტაზე“, სადაც გენერალურ კლასიფიკაციაში მე-7 ადგილი დაიკავა.

ციურიხში მოპოვებული გამარჯვების წყალობით სანჩესმა პროტურის საერთო ჩათვლაში 173 ქულით მეორე ადგილზე აინაცვლა. თუმცა პირველზე, უკვე ვეღარ გადავა — სეზონის ბოლომდე ორი კლასიკური რბოლაღა დარჩა, ამ ორ რბოლაში მაქსიმუმ 90 ქულის გაკეთება შეიძლება და ეს იმ დროს, როცა პრო-ტურის კლასიფიკაციის ლიდერი, მეორე ბასკი ალეხანდრო ვალვერდე თანამემამულეს 112 ქულას უგებს.

ვალვერდეს, რომელმაც სეზონის სტარტზე ორი კლასიკური რბოლა მოიგო, ციურიხში არ უასპარეზია და არც იყო ამის საჭიროება. 26 წლის ბასკმა უბრძოლველად გაინაღდა პირველი ადგილი და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, თავისი, უკვე სოლიდური კოლექცია მორიგი ტიტულით შეავსო.

გია მუჯირი

პრო-ტური. ZURICH CHAMPIONSHIP
ერთდღიანი კლასიკური რბოლა. 233 კმ.

1. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელი)	6 სთ.03 წთ.47 წმ.
2. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC)	+30წმ.
3. დავიდე რებელინი (იტალია, ევროლშტაინერი)	+30წმ.

საერთო ჩათვლა

1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	285 ქულა
2. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელი)	173
3. კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო)	162
4. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა)	156
5. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე)	155

უმცროსი მერქსი უფროსი ხდება

ლეგენდარული ბელგიელის, „ტურისა“ და „ჯიროს“ ხუთ-ხუთჯერ მომგების, „ვუელტას“ გამარჯვებულის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ედი მერქსის ვაჟი აქსელ მერქსი ბავშვობიდანვე მამის კვალს დაადგა და კარგა ხანია პროფესიონალია, მაგრამ მამის დონეზე აღარ არის ლაპარაკი და თავისი საკმაოდ ხანგრძლივი კარიერის მანძილზე არასოდეს ყოფილა რომელიმე ელიტარული ველოგუნდის ლიდერი.

არადა, უმცროსი მერქსი საკმაოდ კარგი მრბოლია, მაგრამ, როგორც წესი, მეორეხარისხოვანი როლებით კმაყოფილდებოდა და სხვა, სახელოვან მრბოლთა გრეგარობას სწევდა ხოლმე. ბოლო წლებში ის შვეიცარიული „ფონაკის“ ღირსებას იცავდა და წლევანდელ „ტურზე“ გამარჯვებული, შემდეგ კი დოპინგის მიღებაში მხილებული და დისკვალიფიცირებული ფლოიდ ლენდისის პირველი ასისტენტი, ანუ ლეიტენანტი იყო.

„ტურზე“ აქსელმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა, თანაც ლენდისის დოპინგ-სკანდალის გამოისობით „ფონაკი“ არსებობას წყვეტს და დიადი ბელგიელის შვილი მომავალ სეზონში გერმანული „T-მობაილის“ ღირსებას დაიცავს და თანაც, როგორც ჩანს, ამ ელიტარული გუნდის ლიდერი იქნება.

ყბადაღებული „ფუენტეს საქმის“ გამო „T-მობაილმა“ დაითხოვა იან ულრიხი და ოსკარ სევილია, ხოლო ანდრეას კლოდენი ყაზახურ „ასტანაში“ გადავიდა და გერმანული გუნდი გამოკვეთილი ლიდერის გარეშე დარჩა. „T-მობაილის“ ბოსებმაც აქსელი მოიკითხეს და ისეთი პირი უჩანს, მომავალ სეზონში სწორედ უმცროს მერქსზე გააკეთებენ აქცენტს.

გია მუჯირი

ედი და აქსელ მერქსები

AFP ფოტოსურათი

ჩინეთის ბედი საბურავებმა გადაწყვიტა

„საოცარი რბოლა იყო. მიხაელის გენიოსობამ, „ფერარის“ ნიჭიერებამ და „ბრიჯსტოუნის“ განსაკუთრებულმა საბურავებმა მოგვიტანა ასეთი ფანტასტიკური გამარჯვება“ — ემოციებს ვერ მალავდა კვირას, ჩინური საპირველფორმულო ეტაპის მოგების შემდეგ „ფერარის“ გენერალური დირექტორი ჟან ტოდტი.

— ეს გამარჯვება ნამდვილი სასწაულია. ერთი საათის წინ არავინ დაიჯერებდა, რომ ჩვენ მოვიგებდით, მაგრამ ხომ შევძელით! ჩვენ ორჯერ ზუსტად გამოვიცანით საბურავების შერჩევისას და რისკმა გაამართლა — ეს კი მიხაელ შუმახერის სიტყვებია.

შუმი ამ მართლაცდა უნიკალური გამარჯვებით სატურნირო ცხრილში ჩემპიონატის ლიდერ ფერნანდო ალონსოს გაუთანაბრდა, არადა, რბოლის უკვე მესამედზე მიხაელის 25-წამიანი ჩამორჩენის შემდეგ ვითარების ამგვარი შემობრუნება წარმოუდგენელი ჩანდა.

ცხადია, ფინიშისშემდგომ პრესკონფერენციაზე შუმახერს სწორედ ამ ამბავზე მოუხდა აქცენტის გაკეთება

— დარჩენილ სამ ეტაპზე ჩემი შანსის შეფასებისას ჩინეთში რბოლა ყველაზე მეტად მაფიქრებდა. წინა წლებში ჩვენ შანხაიში განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიგვიღწევია, თუმც დღეს უკვე ნათელია, რომ ეს პრობლემები უკან დარჩა. არადა, რბოლის წინ მოგების ნაცვლად მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ალონსოსთვის უპირატესობის გაზრდის საშუალება არ მიმეცა.

— მიხაელ, თქვენ სტარტი მეექვსემ აიღეთ და ცხრა წრის შემდეგ ლიდერ ალონსოსთან უკვე 22 წამს აგებდით.

— მართლაც განსაცვიფრებელი უიქენდია. პარასკევს ჩვენ კონკურენტუნარიანები ვიყავით მშრალ ტრასაზე, ხოლო წვიმიანი კვალიფიკაციისას გაჭირვებით მოვხვდით ათეულში. რბოლის დასაწყისშიც გვქონდა პრობლემები, მაგრამ მერე საბურავები „ამუშავდა“, დროულად გადავედით მშრალ რეზინაზე და მოპოვებულმა კომფორტულმა უპირატესობამ საშუალება მოგვცა წარმატებით მივსულიყავით ფინიშთან. კრიტიკული მომენტი იყო, როცა პირველ პიტსტოპზე გავრისკეთ და საბურავების სასტარტო კომპლექტი დავტოვეთ. მართალია, მარჩიელობა გამოგვივიდა, გაამართლებდა ეს ნაბიჯი თუ არა, მაგრამ ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართა, მერე კი სლიკებზე დროულად გადავედით — ტრასა იმდენად გაშრა, რომ გარდამავალმა საბურავებმა ეფექტურობა დაკარგა.

— თქვენ და ალონსო ქულებით გათანაბრდით.

— დიახ, თუმც ცოტა ხნის წინ ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი. წინ რამდენიმე საინტერესო კვირაა, ყველაფერი ალბათ ბოლო მომენტში გადაწყდება და ამას მოუთმენლად ველი.

ჟურნალისტთა შეკითხვებს ჩინეთის მეორეადგილოსანმა ფერნანდო ალონსომაც უპასუხა:

— მე კარგად დავიწყე, 15-20 წრე ყველაფერი ნორმალურად იყო, მერე კი გაცვეთილი წინა საბურავების შეცვლა გადავწყვიტეთ და ეს ჩვენი სამწუხარო შეცდომა გახდა. „რენომ“ სისწრაფე დაკარგა, ხოლო ფიზიკელა და შუმახერი, რომლებმაც სასტარტო კომპლექტი დაიტოვეს, მალე წამომეწივნენ და გამასწრეს კიდეც.

— ოცწამიანზე მეტი უპირატესობის გათვალისწინებით, ალბათ ჯობდა, მეც სასტარტო კომპლექტი დამეტოვებინა, მაგრამ ვინ იცის? როცა 21-ე წრეზე ბოქსებში შედიხარ და ხედავ, რომ წინა მარცხენა საბურავი სრულიად გაცვეთილია, ლოგიკურია მისი შეცვლა, რადგან შემდგომ პიტსტოპამდე ხომ კიდევ ოცი წრეა გასავლელი. არ იცი, ბორბლები როგორ გაუძლებს, ეს უსაფრთხოების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

— ჩვენ ფანტასტიკურად ჩავატარეთ პრაქტიკულად მთელი უიქენდი. მაგრამ, სამწუხაროდ, მოგების შანსი ხელიდან გავუშვით და მიხაელმა დამსახურებულად გაიმარჯვა. თუმც არაფერია დაკარგული, ტიტულისთვის ფანტასტიკური ბრძოლა გრძელდება და ოპტიმიზმით ველი დარჩენილ ორ რბოლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP ტოკიოდან

შემოდგომის წინილები

მოვიდა შემოდგომა და სპორტშიც დაიწყო წინილების დათვლა. ერთ-ერთი ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენ კაცად ხელყოჩაღა ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი დასახელდა, ქალთა შორის კი ეს წოდება ტურინის თეთრ ოლიმპიადაზე ფიგურულ სრიალში გამარჯვებულმა იაპონელმა შიძუკა არაკავამ და ბრიტანელმა მეკლდეურმა ანაბელ ბონდმა გაიზიარეს.

AFP ბრიუსელიდან

აი, ოაზისი

ამ არაბულ ბედაურს ოაზისი ჰქვია და თავადაც ხედავთ, რომ დიდებული რამ გახლავთ, ბრაზილიელ მხედარ როდრიგო პეშოას ბრიუსელის ტურნირზე გამარჯვებისკენ მიაქროლებს.

AFP მუმბაიდან

რატომ იალავ, შვილო, თავს... ბუდჰას გამგრძელებელი

რვა წლის ინდუსი მრუტუნჯაია მანდალ აკაში სირბილს მიაწვა — 80 კილომეტრის გარბენა გადაწყვიტა. თუმც კი, ზედ მუმბაის ბჭესთან გული წაუვიდა. ბავშვთა რბენა პოპულარული შეიქნა მას შემდეგ, რაც ოთხი წლის ბუდჰია სინგჰმა 65 კილომეტრი გაირბინა. ორივენი ქალაქ ორისადან არიან.

AFP სიდნეიდან

იკარუსის თასი

ახლახან საფრანგეთში იკარუსის თასის, მსოფლიოს ყველაზე დიდი თავისუფალი ფრენის შეჯიბრი მოეწყო. ამის სამცნობად თვით „სიტროენის“ ლეგენდარული მოდელი „2 შევო“ გამოეკიდა ცაში. რა თქმა უნდა, მოდელი მუყაოსია.

ჭადრაკის დედო-ქალი

მოჭადრაკისგან ცოტა მოულოდნელი კია, მაგრამ ალექსანდრა კოსტენიუკმა სცადა, ხალხისთვის შეეხსენებინა, რომ მოჭადრაკეები მხოლოდ ჭკვიანები არ არიან, ამიტომაც იალტაში ამგვარი დეფილეთი გამოვიდა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge